ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 15 თებერვალი, 2022 | №32 (8810) | ფასი: 60 თეთრი

პროკურატურა: „პატიმრის გამოსაშვებად ზვიად ქორიძისთვის 20.000 ლარი მოითხოვეს“

„ფულის მოთხოვნა და 12.000 ლარის გადაცემა ფარულადაა ჩაწერილი“

გვ.5

„ნაციონალებისა და გახარიას თანამშრომლობა იძულებითი ნაბიჯია“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „გახარია მართლა თვალთხარია იყო, მაგრამ უკეთესია, ვიდრე „ქართული ოცნება“

გვ.3

„გახარია ოპოზიციასთან ითანამშრომლებს, ვადამდელ არჩევნებს მხარს უჭერს“

მურმან დუმბაძე: „დღეს გიორგი გახარია ოპოზიციას ტექნიკურად სჭირდება, ისევე, როგორც მას ჩვენ. ის გუშინ „ქართული ოცნება“ იყო და შეიძლება ხვალაც „ქართული ოცნება“ გახდეს“

„ოცნებას“ სურს ყველაფერი კინკლაობასა და დაპირისპირებაში გადაიტანოს“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებამ პროცესი ისე მიუშვა, შეიძლება მცხეთაში გაგვივლონ მავთულხლართი“

„სააკაშვილი პათოლოგიური მატყუარაა“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი ლონდონში წარამარა ჩადიოდა. მას მერაბიშვილი და ადეიშვილი უშვებდნენ, რადგან მისი ატანა უკვე ძალიან ძნელი იყო“

პოლონეთში უკრაინელი დევნილების მისალებად ემზადებიან

გვ.4

ბაიდენს რუსეთისადმი სიმტკიცის გამოჩენის ნაკლებობაში ადანაშაულებენ

გვ.2

ვახტანგ გომელაურმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გივი თუმანიშვილი, წარუდგინა

ISSN 1987-9385

2 მამუკა მდინარაძე: „ხოშტარიას, ნათელაშვილს და ჯაფარიძეს პარლამენტიდან გავაგდებთ“

5 ქურნალისტების მიმართ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებული 7 პირი კვლავ პატიმრობაში რჩება

5 გოგა გზირიშვილი: „ორსული ცოლი, ქეთა კეპულაძე, მე მოვკალი, მაგრამ ამის სურვილი არ მქონია“

6 შიშველი „რომის პაპის შვილმა“ სამი დღე ქალის ავტომობილში იცხოვრა

„ოცნებას“ სურს ყველაფერი კინკლაობასა და დაპირისპირებაში გადაიტანოს“

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებამ პროცესი ისე მიუშვა, შეიძლება მცხეთაში გაგვივლონ მავთულხლართი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს?

– ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი ხდება, თუმცა, ჩემი აზრით, უპრეცედენტო პრეცედენტი შევქმენით, რომ „ქართული ოცნება“ რაღაცაზე დავითანხმეთ და საპენსიო სესხის პროცენტი შემცირდება. ჩვენ გამუდმებით ვამბობდით, რომ ძალიან მაღალი იყო საპენსიო სესხის პროცენტი. „ქართული ოცნება“ კი ამბობდა, რომ ეს ასე არ არის და საკმაოდ ობიექტურია სესხის პროცენტიო. ახლა კი დადასტურდა, რომ უსამართლოდ მაღალია და მინიმუმ 10%-ით შემცირდება და ის კონკურსი, რომელიც გამოცხადდება, კიდევ უფრო ქვემოთ დაწევს საპენსიო სესხის პროცენტს. ეს სერიოზული მიღწევაა და საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოზიციამ ასეთი ტიპის ინიციატივებზე იმუშაოს. ამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა სარგებელი უნდა მოუტანოს საზოგადოებას.

– ბოლო პერიოდია უკვე ხშირად ისმის ოპოზიციის ლანძღვა, რომ არაფერს აკეთებს ოპოზიცია და მხოლოდ კინკლაობაში გაჰყავთ დროო.

– ეს ხომ მათი სტანდარტული მესიჯია. შესაბამისად, ჩვენ არ უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ მსგავსი მესიჯები გამოუშვან. მარტო ყვირილი არ არის ოპოზიციის საქმე, ოპოზიციის საქმეა მოქალაქეების ინტერესების დაცვა. ჩვენ ინიციატივების კასკადი გვაქვს მომზადებული და ამ ყველაფერზე აუცილებლად ვიმუშავებთ. ყველას უნდა ესმოდეს, რომ კრიტიკის გარდა, მუშაობაც აუცილებელია. „ოცნებას“ ურჩევნია, საქმე არ აკეთოს და ეს ყველაფერი კინკლაობასა და დაპირისპირებაში გადაიტანოს, მაგრამ ასე აღარ გამოვა.

– ბატონო გიორგი, „ქართული ოცნება“ აპირებს კონკრეტულ დეპუტატებს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩეროს. ოპოზიციის ერთი ნაწილი აცხადებს, რომ შალვა ნათელაშვილს სამაგიეროს უხდის „ოცნებაო“. არის თუ არა ეს პოლიტიკური ანგარიშსწორება?

– კი, ასეა ნამდვილად. სამწუხაროდ, ანგარიშსწორება პოლიტიკური სტანდარტია საქართველოში და მე არ გამოვრიცხავ, რომ მას შეუწყვიტონ უფლებამოსილება, რაც ძალიან ცუდი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ შალვა ნათელაშვილი ძალიან უსამართლოდ „სტრატეგია აღმაშენებელს“ და პირადად მე და, ასევე მისი თანაგუნდელები, გვლანძღავდნენ, კი არ გვაკრიტიკებდნენ, არამედ გვლანძღავდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც იმ პოზიციაზე ვარ, რომ არ უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება და წინააღმდეგ მივცემ ხმას ამ საკითხთან დაკავშირებით. გაცდენის გამო მანდატის შეწყვეტა, რაღაც სადამსჯელო მექანიზმივით არის ჩადებული. იმისი არ იყოს, კომიტეტის სხდომაზე თუ არ მიხვედი და გარეთ გააკეთე განცხადება პროტესტის ნიშნად, ამის გამო ხელფასს გიქვითავენ და გაჯარიმებენ. აბსურდია ეს ყველაფერი. არა მგონია, რომ ამის პრეცედენტი მსოფლიოში რომელიმე პარლამენტში არსებობდეს. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ამ რეალობაში ვართ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის აბსოლუტურად პოლიტიკური, არც მას და არც ერთ დეპუტატს არ უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება. ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება. გამოდის, რომ პოლიტიკურად ასე სჭირდება „ქართულ ოცნებას“ და სწორედ იმიტომ უწყვეტენ უფლებამოსილებას.

– „ქართული ოცნება“ ქალების ორგანიზაციას აფუძნებს და პარალელურად ქალებს ებრძვის, უშვებს მინისტრთა კაბინეტიდან და ასევე სხვადასხვა თანამდებობიდანო. ამაზე რას იტყვით? საუბარია თურნავას და თოლორაიას გაშვებაზე.

– სხვათა შორის, ეს ლოგიკა არ მომისმენია. საინტერესოა. მგონი ქალი მინისტრი მარტო წულუკიანი დარჩა მთავრობაში. ქალთა ფრთის ჩამოყალიბება არ უნდა იყოს ფორმალობა. მეტი ქალი უნდა იყოს პოლიტიკაში, მეტ ქალს უნდა მივცეთ შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობის საჯარო სივრცეში, მართვის პროცესში. ის სტერეოტიპები, რაც არსებობდა ქალებთან მიმართებაში, ბოლომდე უნდა დაინგრეს. თანასწორობის მექანიზმი უნდა იყოს სრულად რეალიზებული. ამიტომ მე კვოტების მომხრეც ვარ, ქალთა აქტიური მონაწილეობის მომხრეც და ასე შემდეგ. ქალია, კაცია, პოლიტიკურად რაც სჭირდება, იმას აკეთებს „ქართული ოცნება“. მისთვის მიუღებელი იყო ლონდა თოლორაია და გაუშვეს.

– შოთაძის კადრის დანიშვნას აპირებენ ამ თანამდებობაზეო.

– პროკურორები არიან წარმოდგენილები და აბა ვისი კადრები იქნებიან?! რა ობიექტურობაზეა საუბარი, თავის ყოფილ უფროსზე საქმეს აღძრავს, რომ დასჭირდეს?! არა! უნდათ, რომ მარიონეტული სტრუქტურა ჩამოაყალიბონ, ეს ცხადია. რაც შეეხება ეკონომიკის მინისტრს, მოგწონდა თუ არ მოგვწონდა, თურნავა ფაქტურა იყო, უფრო აქტიური ტიპაჟი ჩანდა და, როგორც მინიმუმ, სახელი და გვარი მაინც იცოდნენ მისი საქართველოს მოქალაქეებმა. ახლა გვყავს ისეთი მინისტრი, რომლის არსებობაც გვავიწყდება საერთოდ.

– რადგან შევეხეთ ამ თემას, რატომ გაუშვეს თურნავა, თქვენი მოსაზრებები როგორია? ბევრმა ისიც თქვა, რომ ჩხარტიშვილს გაუფუჭდა ურთიერთობა ივანიშვილის კარზე და სწორედ ამას შეეწირა თურნავას სავარძელი. ასეა?

– მე ამ განხილვებში ვერ შევალ, გულწრფელად რომ გითხრათ, არა მაქვს ამაზე ინფორმაციები, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ღარიბაშვილი ცდილობს, მისი კადრებით დააკომპლექტოს სხვადასხვა სამინისტროები. ეს ფაქტია, იმიტომ, რომ ბოლო დანიშვნები, რაც ვიხილეთ, ყველა უშუალოდ მისი კადრია. მე უფრო აქ ვხედავ სისტემურ მიდგომას, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ცნობადი და ნაკლებად აქტიური ტიპაჟები შეირჩეს მინისტრებად.

– ღარიბაშვილის გაშვებაზე საუბრობდნენ და როგორც ვხედავთ, პირიქით, ძლიერდება.

– დიახ, ჯერჯერობით ასეა. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ ახლა ამის საფუძველს. ფორმალური დანიშვნები მიდის. სრულიად უცხო ტიპების. არც პროგრამა აქვთ, არც იმას ამბობენ, რის გაკეთებას გეგმავენ. ეს არ არის ნორმალური. ასე არ ხდება არც ერთ ქვეყანაში. ნებისმიერი ახალი მინისტრი რომ მოდის, ის უნდა მოვიდეს თავისი განრიგით. უნდა უთხრან საზოგადოებას, რის კეთებას აპირებს, რის შეცვლას აპირებს. დაკარგულია ხალხთან ანგარიშვალდებულება.

– ბატონო გიორგი, დღეს მსოფლიო ყურადღების ცენტრში უკრაინაში მიმდინარე პროცესებია. ოპოზიცია ლანძღავს ხელისუფლებას, სირაქლემას პოზაშიაო. რა პოლიტიკაა ეს, რუსეთის არგაღიზიანების, რომელსაც მოსვლის დღიდან მისდევს „ქართული ოცნება“ თუ რაიმე სხვა გეგმა აქვთ?

– სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ გრძელდება, პირველივე დღიდან, რაც მათ დააანონსეს თავის საგარეო კურსის მთავარი შინაარსი, რომ საქართველო არ უნდა იყოს დასავლეთსა და რუსეთს შორის ერთ-ერთი მთავარი საკითხი და ჩვენ ჩვენთვის უდნა ვიყოთ და ჩუმად უნდა ვიყოთ და დღემდე ეს პოლიტიკა გრძელდება. თუმცა რამდენად „წარმატებულია“ ეს, ამასაც ვხედავთ. მცოცავი ოკუპაცია მიდის, ბორდერიზაცია მიდის, ხალხის გატაცება მიდის. ჩვენ ტერიტორიებს ვკარგავთ ყოველდღიურად. ადამიანებს სასაფლაოები შეუღობეს, სახნავ-სათესი შეუღობეს.

– არ მუშაობს ის პოლიტიკა, რაც აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ და ამას ვერ აცნობიერებს?

– ფაქტია, ვერა. ჩვენ თუ გვინდა, რომ თავი მოვიტყუოთ, ბოლოს შეიძლება ისე აღმოჩნდეს, რომ აგერ მცხეთაში გაგვივლონ მავთულხლართი. არ შეიძლება ასე მივუშვათ ეს პროცესი. რაც შეეხება უკრაინის თემას, ზოგადად დიდი გეოპოლიტიკური გადალაგება ხდება ჩვენს რეგიონში და ამ გეოპოლიტიკური გადალაგების დროს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელი ფლანგი გაიმარჯვებს ამ პროცესში. გაიმარჯვებს რუსული ვექტორი, რომელიც ამბობს, რომ ეს ჩემი გავლენის სფეროა და შორს დასავლური ცივილიზაცია საქართველოდან და უკრაინიდან, თუ გაიმარჯვებს დასავლური ვექტორი. მე მაინც მგონია და 90% დარწმუნებული ვარ, რომ დასავლური ღირებულებები აუცილებლად გაიმარჯვებს ამ შემთხვევაში. დღეს შეიძლება ბევრს ჰგონია რუსეთი ძლიერი, მაგრამ მერწმუნეთ, დღეს რუსეთი არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ის ამას წარმოაჩენს. უკვე რუსეთშიც ბევრი ფიქრობს, რომ ზედმეტად შეტოპა პუტინმა, უკან დასახევი მარტივი გზა მოიჭრა და არის გამოსავლის ძიებაში. უკრაინა მზად არის, მას დასავლეთიც ეხმარება შეიარაღებაში და ეს ყველაფერი ისე არ ჩაივლის, როგორც ჩაიარა, სამწუხაროდ, 2008 წელს საქართველოში რუსეთის შემოჭრამ. დღეს ის მომენტია, როცა დასავლეთმა კარგად გააცნობიერა, რომ რუსეთთან კომპრომისებით მუშაობა წარმოუდგენელია.

– ჩვენ მაგივრადაც რომ დასავლეთი აქტიურობს...

– დასავლეთმა იცის ერთი რამ, რომ ვინც არ უნდა იყოს ქართულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ქართველი ხალხის არჩევანი არის დასავლური ინტეგრაცია. მიუხედავად ამ პროცესებისა, დღეს უკრაინაში გაცილებით მეტია პრორუსული ძალები, გაცილებით მეტი აქვთ მათ მხარდაჭერა, ვიდრე საქართველოში. საქართველოს მოქალაქეებს კი უნდა ნატო, უნდა ევროპა და უნდა ევროპული ცივილიზაცია.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ სიტუაციაში მაინც რუსეთი დარჩება წაგებული?

– დღეს არ არის რუსეთი იმ ფორმაში, რომ მან დასავლეთს მოუგოს ეს აბსურდული და აგრესიული ომი, რომელიც მან წამოიწყო. თუმცა მთავარი არის ის, რომ გეოპოლიტიკურად ბევრი რამ გადალაგდება.

– ჩვენ თამაშგარე მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდებით?

– მარტო კობახიძესა და ხელისუფლებაზე არ იქნება ეს დამოკიდებული. მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ რაღაც მომენტში, პირიქით, ისე შეტრიალდეს ვითარება, რომ ნატოს კარები უცებ გაიღოს. ჩვენ არ უნდა მივცეთ შესაძლებლობა „ქართულ ოცნებას“, რომ დაამუხრუჭოს ეს პროცესი. იმდენად სწრაფად შეიძლება შეიცვალოს ვითარება, რომ შესაძლოა სწორედ ეს მოხდეს და უეცრად მოგვეცეს შესაძლებლობა, გავხდეთ ნატოს წევრი ამ პოსტაგრესიულ ვითარებაში. ჩვენ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

ვახტანგ გომელაურმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გივი თუმანიშვილი, წარუდგინა

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საბჭოს აპარატის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გივი თუმანიშვილი, წარუდგინა და მას ახალ თანამდებობაზე წარმატებები უსურვა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დეპარტამენტების დირექტორებმა ახალ უფროსს სტრუქტურული დანაყოფების ფუნქცია-მოვალეობები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნეს.

გივი თუმანიშვილი 2019 წლიდან საქართველოს დაზვერვის სამსახურში ანალიტიკური დირექტორატის უფროსი იყო, ხოლო მანამდე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსად გივი თუმანიშვილი 11 თებერვალს დანიშნა.

მამუკა მდინარაძე: „ხოშტარიას, ნათელაშვილს და ჯაფარიძეს პარლამენტიდან გავაგდებთ“

საპარლამენტო უმრავლესობა ბადრი ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს მხარს დაუჭერს.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ გუშინ, 14 თებერვალს, ბრიფინგზე განაცხადა.

მან ის საფუძვლები განმარტა, რაც სამი დეპუტატის მიმართ შესაბამის გადაწყვეტილებას იწვევს.

– უფლებამოსილების შეწყვეტა, ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან გაინტერესებთ. იცით, რომ სამი დეპუტატის უფლებამოსილებაზეა საუბარი. ორ შემთხვევაში საუბარია სამართლებრივ საფუძველზე – გაცდენებზე. მესამე შემთხვევაშია სასამართლოს მიერ დადასტურებულ დანაშაულზე. სამივე დეპუტატის მიმართ საპარლამენტო უმრავლესობა მხარს დაუჭერს უფლებამოსილების შეწყვეტას და ეს იქნება ჩვენი ხვალინდელი გადაწყვეტილება, – განაცხადა მდინარაძემ.

ინფორმაციისთვის, პარლამენტის 15 თებერვლის პლენარული სხდომის დღის წესრიგში ასახულია დეპუტატების: ელენე ხოშტარიასთვის, შალვა ნათელაშვილისა და ბადრი ჯაფარიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. პარლამენტი თავდაპირველად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დასკვნას განიხილავს, რომლის თანახმად, მათ მანდატი უნდა შეუწყდეთ. ამის შემდეგ საკითხი კენჭისყრაზე დადგება.

ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილისთვის მანდატების შეწყვეტას მათ მიერ პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა იწვევს.

რაც შეეხება „ლელოს“ ლიდერის, ბადრი ჯაფარიძისთვის, მანდატის შეწყვეტის საკითხს, ამის ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველს მის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს.

აზარაშვილი: „ღარიბაშვილი ანტივაქსერი არ არის“

– რასაკვირველია, პრემიერი ანტივაქსერი არაა და შეუძლებელია, რომ იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს ვაქცინის ორივე დოზა გაკეთებული და ის ძალიან აქტიურად იყო ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ყველა კამპანიაში ჩართული.

ასე უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვას ჯანდაცვის მინისტრმა ზურა აზარაშვილმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას შეეხებოდა, სადაც ის საუბრობს, რომ „ომიკრონის“ უმეტეს შემთხვევაში ვაქცინა არ მუშაობს.

მისივე თქმით, ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ინფიცირების შემთხვევაში ძალიან მსუბუქად გადაიტანა „ომიკრონი“, რადგან ორჯერ ვაქცინირებული იყო.

– პრემიერი ძალიან აქტიურად იყო ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ყველა კამპანიაში ჩართული. ასევე, იმ სამოტივაციო სისტემაში, რაც 50 წელზე ზევით ჩვენს თანამოქალაქეებზე გავაკეთეთ, 200-ლარიანი დანამატი, 100-ლარიანი დანამატი „ბუსტერ“ დოზის შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, იმაზე საუბარი, რომ ანტივაქსერია თუ არა, ვფიქრობ, რომ არასწორია. „ომიკრონის“ შემთხვევაში, რადგან ეს არის ისეთი შტამი და ჩვენ გვაქვს ისეთი ვაქცინები, რომელიც ამ ახალ შტამთან დაკავშირებით გადადების რისკს ნაკლებად აზღვევს, მან თქვა, რომ ინფიცირების შემთხვევაში ძალიან მსუბუქად გადაიტანა, რადგან ორჯერ ვაქცინირებული იყო. „ომიკრონთან“ დაკავშირებით იცით, რომ „ფაიზერმა“ უკვე შექმნა ახალი ვაქცინა და მარტის თვეში ახალი ვაქცინა გვექნება, რომელიც „ომიკრონზე“ მუშაობს კონკრეტულად, – განაცხადა აზარაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია ოპოზიციასთან ითანამშრომლებს, ვადამდელ არჩევნებს მხარს უჭერს“

მურმან დუმბაძე: „დღეს გიორგი გახარია ოპოზიციას ტექნიკურად სჭირდება, ისევე, როგორც მას ჩვენ. ის გუშინ „ქართული ოცნება“ იყო და შეიძლება ხვალაც „ქართული ოცნება“ გახდეს“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, „ქართული ოცნება“ გახარიასა და ნაციონალების პოლიტიკურ თანამშრომლობაზე საუბრობს. არჩილ თალაკვაძემ ზუგდიდის საკრებულოში გახარიას პარტიის წევრის საკრებულოს თავმჯდომარედ

არჩევა ამის მაგალითად მოიყვანა. რას უპასუხებთ?

– „ქართული ოცნება“ და თალაკვაძე უნდა შეეგუონ დამარცხებას. ისინი დამარცხდნენ ზუგდიდში, ბათუმში, სენაკში, წალენჯიხაში, რუსთავში. რაც შეეხება გახარიასა და ნაციონალური მოძრაობის თანამშრომლობას, ეს მხოლოდ ტექნიკური საკითხია.

– პოლიტიკურად რა პროცესია? მხოლოდ ტექნიკური საკითხია?

– დიახ, ტექნიკური საკითხია. ამ ქვეყანაში უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. ეს არის მიზანი. ამ გზაზე ოპოზიციას ვინც შეეხიდება და დაეხმარება, ყველასთან შეიძლება თანამშრომლობა. მე, როგორც ვიცი, გიორგი გახარია თანახმაა ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. მისი პარტიის წევრები ამ იდეას მხარს უჭერენ, ყოველ შემთხვევაში, ასე საუბრობენ. ამიტომ, გახარია და მისი გუნდი თუ ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანენ, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

თქვენი მკითხველისთვის ჩემი დამოკიდებულება ცნობილია ბოიკოტის საკითხზე. მე დღესაც ვთვლი, რომ პარლამენტის დატოვება, საკრებულოების დატოვება და ბოიკოტის რეჟიმზე სრულად გადასვლა ვადამდელ არჩევნებთან დაგვაახლოვებდა, მაგრამ რადგან სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო ოპოზიციამ, ახლა ვალდებული ვართ პარლამენტის ტრიბუნიდანაც მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ადგილობრივ დონეზე (საკრებულოებში) „ოცნებას“ ხელისუფლება წავართვათ. ამ საქმეში თუ გახარია ოპოზიციასთან ითანამშრომლებს, რაც უნდა, ის თქვას თალაკვაძემ. ჩვენ, ჩვენი ამომრჩევლის დაკვეთას ვასრულებთ.

ქვეყანა ჩიხშია შესული. პოლიტიკა აღარ აქვს სახელმწიფოს. პრემიერი გამოდის და ამ გაგანია პანდემიის დროს, როდესაც ასეთი მაღალია სიკვდილიანობის, დაინფიცირების მაჩვენებლები, გვეუბნება, ვაქცინაცია არ მუშაობს. გამაგებინეთ, ეს განცხადება რაში ჯდება?! რას ემსახურება?! რა არის მიზანი?!

ან უკრაინის საკითხზე ერთი მხარდამჭერი სიტყვა მაინც რატომ არ თქვა?! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უკრაინელი ხალხის წინაშე ვალდებულნი ვართ. 2008 წელს, როდესაც ომი იყო, უკრაინის პრეზიდენტი რუსთაველზე იდგა და მხარს გვიჭერდა. იმ სოციალურ კრიზისზე აღარაფერს ვამბობ, რომელშიც ხალხი იმყოფება. პრემიერის ეს განცხადება და საერთოდ ასეთი პოზიცია, ნიშნავს, რომ ხელისუფლებას იდეოლოგიური კრიზისი აქვს. ამ ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს და ეს ვადამდელი არჩევნებია.

– ამ გზაზე ოპოზიციას გახარიას დახმარება სჭირდება?

– რა თქმა უნდა! ადრე გახარიას პარტია ვადამდელ არჩევნებზე არაფერს ამბობდა, ახლა ეს პოზიცია შეცვლილია. თუ ამ გზაზე გახარია დაგვეხმარება, ამის წინააღმდეგი როგორ უნდა ვიყოთ?!

– ამ ფონზე, საინტერესოა ოპოზიციის ერთი ნაწილის იდეა, რომ პარლამენტში 20 ივნისის მოვლენებზე საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რა გავლენას იქონიებს ამ თანამშრომლობაზე?

– ოპოზიციას ხელი აქვს მოწერილი თავის დროზე, რომ ასეთი კომისია უნდა შეიქმნას და თავისი დასკვნა უნდა დადოს. როგორც ვიცი, ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს ხელი მოწერილი, რადგან ის ამნისტიის წინააღმდეგი იყო.

სიმართლე გითხრათ, მე მომხრე ვარ არა მხოლოდ 20 ივნისის მოვლენებზე, 5 ივლისი მოვლენებზეც და სხვა ბევრ საკითხზეც შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ხალხმა უნდა გაიგოს რეალური მიზეზები, რა მოხდა და რატომ მოხდა. თუმცა, არ მგონია, რომ ეს კომისიები შეიქმნას.

– რატომ?

– ამას ხელისუფლება არ დაუშვებს. ბადრი ჯაფარიძის გამოშვება და შალვა ნათელაშვილის პარლამენტში არ შეშვება სწორედ ამას ემსახურება, რომ ოპოზიციას ხმები დააკლდეს. დარწმუნებული ვარ, ამ გადაწყვეტილებას თავად ბიძინა ივანიშვილი მიიღებს.

– ფიქრობთ, ამ დონეზე ჩაერევა?

– რასაკვირველია. ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რომელსაც მხოლოდ კობახიძე ვერ გადაწყვეტს.

– და თუ მაინც შეიქმნება, მერე როგორ წარმოგიდგენიათ გახარიასთან თანამშრომლობა?

– დიახ, რთული საკითხია. თუმცა, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ კოალიცია არ არის ურთიერთსიმპათიის დასტური ან გამოხატულება. რეალური კოალიციური თანამშრომლობა პოლიტიკაში უფრო იძულებითია, ვიდრე სურვილით ან სიყვარულით გამოწვეული. ამას ჩვენი ამომრჩეველი გვაიძულებს და არა ჩვენი სურვილი. ჩვენს მოქალაქეებს უნდა ვცეთ პატივი.

ჩემთვის გახარია არ არის პოლიტიკაში იდეალი. მე პოლიტიკაში სხვა იდეალები მყავს, მაგრამ თუ ეს საქმეს დასჭირდება და ამას ამომრჩეველი გვაიძულებს, სხვა რა გზა გვაქვს?! ეს არის პოლიტიკა. დღეს გიორგი გახარია ოპოზიციას ტექნიკურად სჭირდება, ისევე, როგორც მას ჩვენ. მე კარგად მახსოვს, რომ გახარია სულ რაღაც გუშინ „ქართული ოცნება“ იყო და შეიძლება ხვალაც „ქართული ოცნება“ გახდეს.

– შეიძლება?

– შეიძლება, რატომაც არა.

„ნაციონალებისა და გახარიას თანამშრომლობა იძულებითი ნაბიჯია“

ნიკა ჩიტაძე: „გახარია მართლა თვალთხარია იყო, მაგრამ უკეთესია, ვიდრე „ქართული ოცნება“

იაგო ნაცვლიშვილი

ნაციონალური მოძრაობისა და გახარიას „საქართველოსთვის“ თემატური თანამშრომლობა გრძელდება. ამჯერად ის ზუგდიდის საკრებულოში შედგა, სადაც თავმჯდომარედ ოპოზიციამ გახარიას გუნდის წევრი აირჩია. ეს, ერთი მხრივ, პრაგმატული პოლიტიკური სვლაა და დიდი არჩევანი არც იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩნდება ბუნებრივი კითხვა, აღარ არის გახარია თვალთხარია?

როგორ აიხსნება გახარიას და ნაცმოძრაობის თანამშრომლობა და რას ფიქრობს პრემიერის ვაქცინაზე გაკეთებულ ხმაურიან განცხადებებზე, რომელიც დიდი განხილვის თემა გახდა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

– როგორ აფასებთ გახარიას გუნდის და ნაციონალური მოძრაობის თანამშრომლობას? მოვისმინეთ ბაჩანა შენგელიას მოწოდებაც ენმის მიმართ, არ ითანამშრომლოთ კრიმინალებთანო.

– ვხედავთ იმას, რომ გარკვეულწილად გახარიას გუნდის და ნაციონალური მოძრაობის ინტერესები თანხვედრაშია და პრაგმატული ნაბიჯის გადადგმას ჰგავს ის, რაც ხდება. ბოლო პერიოდში რამდენიმე საკრებულოში მოხდა, რომ გახარიას გუნდის წევრმა დაიკავა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი. შესაძლოა ერთმანეთს მხარს არ უჭერენ, მაგრამ მათ აქვთ საერთო ინტერესი და ეს უკავშირდება „ქართული ოცნების“ დამარცხებას.

– გასაგებია, რომ ეს არის პრაგმატული ნაბიჯი, მაგრამ ჩნდება კითხვა – გახარია დღეს აღარ არის თვალთხარია?

– რა თქმა უნდა, ვეთანხმები თქვენი კითხვის პათოსს და არა მხოლოდ გახარიას ეხება ეს. ვიცით, რომ სიტყვაზე, ეკა ბესელია ახლა გახდა დემოკრატიისთვის მებრძოლი და ა. შ. აქედან გამომდინარე, გახარიას ფაქტორიც ამ კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ. თუმცა, ბევრი თვალსაზრისით ის მიუღებელია. გახარია მართლა იყო თვალთხარია და 20 ივნისის მოვლენების შემდეგ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა გახარიას შს მინისტრობიდან გადადგომა იყო. აქედან გამომდინარე კითხვები შეიძლება დაისვას და არა მხოლოდ გახარიაზე. ვახსენე ბესელია და გვახსოვს, მაშინდელმა რუსთავი 2-მა როგორ აჩვენა სიუჟეტი, რომ ბესელია ცხოვრობდა სამსართულიან სახლში, დღეს კი ის უკვე გმირი გახდა. პოლიტიკაში, როგორც ჩანს, პარტიები და ოპოზიციის მხარდამჭერი არხები მოქმედებენ პრინციპით, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. გახარია ცუდია, მაგრამ უკეთესი, ვიდრე „ქართული ოცნება“.

– პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა?

– ჩემი აზრით, არა, მაგრამ მე ვამბობ იმ ლოგიკაზე, ვინც მხარს უჭერს თანამშრომლობას და ისინი მოქმედებენ იმ პრინციპით, რაც გითხარით, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“. მათ უზნეობას ვერ დავაბრალებ, იმიტომ, რომ თუ არა გახარიას პარტია, მაშინ „ოცნების“ წარმომადგენლებმა უნდა დაიკავონ საკრებულოში უმრავლესობა. ამიტომ, იძულებით ნაბიჯს წარმოადგენს თანამშრომლობა. ინტერესთა თანხვედრას ვგულისხმობ თანამშრომლობაში.

– კი, ბატონო, დიდი არჩევანი არ აქვთ, მაგრამ ალბათ აქტიური საინფორმაციო კამპანიაა საჭირო, ეს იქიდან გამომდინარეა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და არა ის, თითქოს კოალიციას ქმნიან?

– კი. აუცილებლად გეთანხმებით ამ შეფასებაში. უნდა აუხსნან მოსახლეობას, რატომ არის ეს ნაბიჯი გადადგმული. რამ აიძულა ნაციონალური მოძრაობა, რომ ეთანამშრომლა გახარიას პარტიასთან. კი, ცუდია გახარიას პარტია, მაგრამ ამ შემთხვევაში არის „ქართული ოცნების“ ოპოზიცია და ამიტომაც სჯობს, რომ არა „ოცნების“ წარმომადგენელმა, არამედ გახარიას პარტიის წარმომადგენელმა დაიკავოს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა.

– ხედავთ ამ კამპანიას დღეს?

– კი, ვხედავ. არ არის გამორიცხული, სხვა საკრებულოებშიც შედგეს თანამშრომლობა თუ ინტერესთა თანხვედრა იქნება. თანამშრომლობის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ კონკრეტული საკრებულოს თავმჯდომარემ დატოვოს თანამდებობა და არც ის არის გამორიცხული, რომ თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში რუბიკონი გადალახულია და აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ უნდა აუხსნან მოსახლეობას, რომ გახარიას იდეებს არ ატარებს ნაცმოძრაობა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის იძულებითი თანამშრომლობა და იძულებითი თანხვედრა, იმიტომ, რომ ამის ალტერნატივა ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ ხელ-ფეხის გახსნაა. ეს არანაირად ხელს არ აძლევს ნაცმოძრაობას.

– პრემიერის გუშინდელმა განცხადებამ ვაქცინაციაზე დიდი განხილვა გამოიწვია. არის თუ არა პრემიერი ანტივაქსერი? ანუ, მისი კამპანია აქეთკენ ხომ არაა მიმართული?

– იცით რა? მე ვიტყოდი, რომ გარკვეულწილად პრემიერიც და ხელისუფლებაც არასწორ პოლიტიკას ახორციელებენ და ანტივაქსერების წისქვილზე ასხამს წყალს ეს ყველაფერი. თუნდაც ის, რომ გაუქმდა „მწვანე პასპორტები“ და მათ ახლა უპრობლემოდ შეუძლიათ შესვლა სხვადასხვა დაწესებულებაში, საუბარი მაქვს იმათზე, ვინც აცრილები არ არიან. ეს მაშინ, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მონაცემების საფუძველზე 50%-ს არ სურს, რომ აიცრას.

– როდესაც ამბობს, რომ ვაქცინა არ არის ეფექტიანი ომიკრონთან მიმართებით, ეს რამდენად სწორია? თუნდაც, მეცნიერულ დონეზეც რომ იყოს ეს დასაბუთებული, არ არის გასათვალისწინებელი ის, რომ ქვეყანაში სულ რაღაც 40%-ია აცრილი?

– რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული. თან ხომ ვიცით, რომ ადამიანის მიმართ 5-6-ჯერ მცირდება რისკი, რომ აცრილი ადამიანის ჰოსპიტალიზაცია გახდეს საჭირო, ვიდრე იმის, ვინც აცრილი არ არის.

– მაშინ როგორ უნდა გავიგოთ პრემიერის ასეთი განცხადებები?

– შეიძლება ხანდახან შეუგნებლად ხდება ეს ყველაფერი. შეიძლება შეუგნებლად ხდება რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის წისქვილზე ასხამს ეს წყალს. თუნდაც მისი განცხადებები, რომ ნაცმოძრაობა უნდა გაუქმდეს, როგორც ორგანიზაცია და ა. შ. ეს ან შეგნებულად ხდება, ან შეუგნებლად, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ინტერესი და პრემიერის პოზიცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

„სააკაშვილი პათოლოგიური მატყუარაა“

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი ლონდონში წარამარა ჩადიოდა. მას მერაბიშვილი და ადეიშვილი უშვებდნენ, რადგან მისი ატანა უკვე ძალიან ძნელი იყო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.



– ბატონო პეტრე, რა იცით პრეზიდენტობის პერიოდში სააკაშვილის საიდუმლო შეხვედრებზე? მან სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ლონდონში ლოკაშენკოს რამდენჯერმე შეხვდა საიდუმლოდ, აფხაზეთი და ცხინვალი რომ არ ეღიარებინა.

– ფულს ვაძლევდიო?

– არ ვიცი. თუ არის დასაშვები, რომ ლუკაშენკო საიდუმლოდ ლონდონში სააკაშვილთან შესახვედრად ჩასულიყო?

– სააკაშვილი პათოლოგიური მატყუარა რომ არის, ეს ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის. მას არაერთხელ უთქვამს ისეთი აბსურდული ტყუილები, რომ კომენტარიც შეუძლებელია. არ უნდა გაგვიკვირდეს თუ აღმოჩნდება, რომ ლუკაშენკოს, საერთოდ, არ შეხვედრია, რადგან სააკაშვილი პათოლოგიური ტყუილების გენერატორია.

– ასეთი საიდუმლო შეხვედრა რომ მომხდარიყო, ბრიტანეთის დაზვერვას გამოეპარებოდა?

– სააკაშვილი მართლაც ჩადიოდა ლონდონში წარამარა. მას საქართველოდან უშვებდნენ ლონდონში მერაბიშვილი და ადეიშვილი, რადგან მისი ატანა უკვე ძალიან ძნელი იყო. ლონდონში სააკაშვილი ცნობილი იყო სასტუმრო „რიტცში“ მოწყობილი სკანდალით, რის თაობაზეც ცნობილმა ბრიტანელმა დიპლომატებმა მითხრეს.

– მგონი, სააკაშვილი შეხვედრების დროდ 2009 წელს ასახელებს.

– კი არ გამოვრიცხავ, შეიძლება რაღაც იყო და შეხვდა კიდეც. თუმცა, შეგახსენებ, ლუკაშენკო ბათუმში რომ იყო ჩამოსული, მაშინ სააკაშვილმა ისეთი რამ გააკეთა, რაც საქართველოს პრესტიჟს შეეხება.

სააკაშვილი ვარდების რევოლუციაში გამარჯვებისა და გაპრეზიდენტების შემდეგ, საჯაროდ აცხადებდა, რომ ლუკაშენკო ევროპაში ბოლო დიქტატორია და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, დიქტატორი ხელისუფლებას ჩამოშორდეს და პასუხი აგოსო. თუ გახსოვთ, ბელორუსში არჩევნების დროს მთელი დესანტი გადასხა გიორგი კანდელაკისა და სხვების შემადგენლობით, ბოლო დიქტატორი უნდა იყოს დამხობილიო.

სააკაშვილი ცდილობდა, დასავლეთში არა მარტო საქართველოს პრეზიდენტის, არამედ მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის სახელი ჰქონოდა, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენა აქვს. ის ამბობდა, მე დავამხობ ლუკაშენკოსო. ეს სამარცხვინოდ დამთავრდა. ლუკაშენკომ დააკავა ის ადამიანები კანდელაკის ჩათვლით, ვინც მაშინ მინსკში ჩავიდა. მერე გამოუშვა.

2008 წლის შემდეგ, ლუკაშენკო ბათუმში რომ ჩამოვიდა, სააკაშვილი მუცელზე ხოხავდა და ოფიციალურად განაცხადა, ლუკაშენკო არის ყველაზე ჭკვიანი, ბრძენი და ძლიერი პოლიტიკოსი ლამის მთელს ევროპაშიო. ასეთი ქცევა ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწისთვის უაღრესად სამარცხვინოა. ის, რასაც 2008 წლამდე ამბობდა, ან მერე, როცა ლუკაშენკოს, როგორც დიქტატორის, იმიჯი იმ წლებში ძალიან დამძიმდა.

სად ლუკაშენკო, ვთქვათ, ვარდების რევოლუციის შემდეგ და სად 2008 წლის შემდეგ, როდესაც სააკაშვილი ბრძენ ლიდერად აცხადებდა, რომელმაც ააყვავა თავისი ქვეყანა, ანუ ლუკაშენკოს ქება-დიდება არ დაიშურა.

– ახლა რატომ თქვა, სავარაუდოდ, ეს დიდი ტყუილი?

– ტყუილი თქვა, რათა ეჩვენებინა თავისი პატრიოტული განწყობა და უდიდესი წვლილი იმაში, რომ მსოფლიოში, პრაქტიკულად, არავინ ცნო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. თითქოს გავლენა ჰქონდა ლუკაშენკოზე, სხვებზე და ასეთ რამეს მიაღწია. ამ ტყუილის გასაღება უნდა, ცხადია.

– 2008 წელს აფხაზეთიდან დევნილმა პირმა მომიტანა ფოტო, სადაც აღბეჭდილი იყვნენ (ნახევრად ბნელ ოთხში) სააკაშვილი და პუტინი. ისინი ფეხზე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მათ ფონზე კი თემურ ალასანია ჩანდა. აშკარაა, სააკაშვილი პუტინს საიდუმლოდ ხვდებოდა ბიძამისის მეშვეობით.

– არაერთხელ უთქვამს სააკაშვილს, პუტინს ძალიან ბევრჯერ შევხვდიო.

– შეიძლება არაერთი შეპირებაც მისცა სააკაშვილმა პუტინს, რომ უერთგულებდა. შეიძლება ამის გამო იყო, რომ აგვისტოს ომის დროს პუტინი ცოფებს ყრიდა, ჩემი ერთგული ლეკვი როგორ გავიდა გარკვეული ფარგლებიდანო, ანუ სააკაშვილის პუტინთან საიდუმლო შეხვედრების თაობაზე თუ გსმენიათ?

– მე პირადად ფოტო (ფოტოფაქტი) რომ არ მენახა, შეიძლება არც დამეჯერებინა.

2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ „კომერსანტის“ ძალიან ცნობილი ჟურნალისტი ანდრეი სოლავიოვი წერს ვრცელ ინტერვიუს სააკაშვილთან. ჟურნალისტი ეუბნება სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, 2008 წლის 8 აგვისტოს, დილით, მე შევძელი თქვენს ერთ-ერთ მინისტრთან დაკავშირება.

– ანუ ვის, მერაბიშვილს?

– ვერ ვიტყვი, რადგან საბუთი არ მაქვს. ჟურნალისტი ამბობს, მე ვკითხე თქვენს მინისტრს: გამაგებინეთ, რუსეთთან სერიოზული ომი გადაწყვიტეთო? მივიღე ასეთი პასუხი: ანდრეი, რატომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთი ამ ტერიტორიას ჩვენ გვაბარებსო, ანუ ჟურნალისტს ჩვენმა მინისტრმა უთხრა ის, რაც შემდეგ ქუთელიამ და სხვებმა ჯერ „ფიგაროში“, ხოლო შემდეგ „ფაინენშელ ტაიმსში“ გაახმოვანეს – ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება რუსებთან, რომ ცხინვალში შევიდოდით, ჯარს შევიყვანდით, განვაიარაღებდით იქაურ შეიარაღებულ ფორმირებებს, კოკოითის არმიას, ამაზე ჩვენ რუსებმა თანხმობა მოგვცეს, მწვანე შუქი აგვინთესო.

რუსებთან შეთანხმების საფუძველზე დავიწყეთ ოპერაცია და შევედით. არავინ მოელოდა თუ რუსები ისე მოიქცეოდნენ, როგორც მოიქცნენ. შესაბამისად, ჩვენც არ ვიყავით მომზადებული ასეთი ბრძოლისთვის, ჩვენ ხომ მწვანე შუქი გვქონდა ანთებულიო. ახლა დღეგამოშვებით ტელევიზიით გამოდის და საქართველოს მთავრობას არიგებს, როგორ უნდა მოიქცეს უკრაინასთან დაკავშირებით.

– არ უშვებთ, რომ შეიძლება ასეთი მოლაპარაკება მართლა ჰქონდათ საქართველოს ხელისუფლების იმდროინდელ წარმომადგენლებს და რუსეთმა მოატყუა?

– რა თქმა უნდა, მოლაპარაკებები მართლა იყო, მაგრამ რას ნიშნავს, „რუსეთმა“? საქართველოს პროკურატურაში ქუთელიას ვინმემ დაუძახა და გამოკითხა, სადაც ჯერ არს? აი, ჩემო კარგო, მაშინ შენ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე იყავი. შენი ინტერვიუა დაბეჭდილი „ფიგაროსა“ და „ფაინენშელ ტაიმსში“, ამაზე უარს ხომ არ ამბობ? აბა, გვითხარი, ვინ იყვნენ ის რუსები, ვისთანაც მაშინ თქვენ ცხინვალის რეგიონის გადმოცემის თაობაზე მოილაპარაკეთ? ან საქართველოს მხრიდან ვინ იყვნენ ის კონკრეტული ქართველები (საქართველოს არ შეუძლია ვინმეს მოელაპარაკოს, ყოველთვის კონკრეტულ ადამიანებზეა ლაპარაკი), ვინც მოლაპარაკებაში იყვნენ ჩართული?

როგორც ვიცით, იაკობაშვილმა 7 აგვისტოს ტელევიზიით თქვა, ხალხო, ჯერ ვერც კი გიყვებით, კულახმეტოვი როგორ გვეხმარებაო. რონდელის ცენტრში იაკობაშვილი ყველას ეუბნებოდა, კულახმეტოვმა ფული აიღო (4 მილიონი) და ბოლომდე გავდივართო.

შემდეგ ვალერი ჩხეიძემ მითხრა (ვალერის კოლეგა რუსებმა უთხრეს): კულახმეტოვმა მოსკოვში უფროსობას დაურეკა და ჰკითხა: ფულს მთავაზობენ და მეუბნებიან, რომ ცხინვალში შევუშვა (იმ წუთში კი არ უპასუხეს). სამი საათის შემდეგ უპასუხეს, ფული აიღე და შეუშვიო. იმ წუთში კი არ უპასუხეს. მერე კულახმეტოვი დაბრუნდა, როგორც რუსეთის ელჩი რეგიონში.

როგორც არსენიშვილი მეუბნებოდა, თემურ ალასანიას ველაპარაკე და მითხრა, ამერიკელები და რუსები ერთად შეთანხმდნენ, ჩვენ შევდივართ ცხინვალში და როკის გვირაბამდე ყველაფერს გვაძლევენო. ნეტა, თემურ ალასანია ახლა პროკურატურაში რომ ჰყავდათ, ჰკითხეს, ვინ მოელაპარაკა, რა დონის რუსებს შეუთანხმდნენ?!

– არ ვიცი, რა ჰკითხეს ალასანიას პროკურატურაში, მაგრამ აქედან კი მოკურცხლა.

– ამას ვამბობ. ძალიან საინტერესოა, რატომ არ მიმართა ამერიკის საელჩოს. ალასანია ამერიკის მოქალაქეა, კანონით, მას ეკუთვნოდა, საელჩოსთვის მიემართა, პროკურატურა მიბარებსო. საელჩო გააყოლებდა ადამიანს, რომელიც მოითხოვდა, ყველაფერი თარგმნილიყო და პროტოკოლი შემდგარიყო, რადგან ამერიკის მოქალაქეა. რატომ არ მოითხოვა?!

– რატომ არ მოითხოვა?

– არ მოითხოვა, რადგან არ უნდოდა, ამერიკელებს გაეგოთ, საქართველოს პროკურატურა რას ეტყოდა, რა საქმეებზე ილაპარაკებდნენ.

– ამერიკის საელჩოს ხომ შეუძლია თავისი მოქალაქის ამბავი მოიკითხოს, პროკურატურას რაზე ჰყავდა დაბარებული?

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკაში რაღაცას ჩაიდენს, ან თემურ ალასანია მიმართავს, ასე მომიხდაო, მანამდე საელჩოს თავშიც არ მოუვა.

პოლონეთში უკრაინელი დევნილების მისაღებად ემზადებიან

ბაიდენს რუსეთისადმი სიმტკიცის გამოჩენის ნაკლებობაში ადანაშაულებენ

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის პრეზიდენტს ჯო ბაიდენს უკრაინის მოვლენების გამო აკრიტიკებენ. დასავლეთის გარკვეულ წრეებში თვლიან, რომ ბაიდენი პუტინის მიმართ მეტისმეტად დამთმობია, რაც აზიანებს მსოფლიოს.

თეთრი სახლის ლიდერის ქმედებები, კერძოდ კი, მისი პუტინთან 12 თებერვალს გამართული ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი, კრიტიკულად შეაფასა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრმა რესპუბლიკელებიდან დარიელ აისამაც.

– ჯო ბაიდენი განათლებული ადამიანია, თუმცა მან საგარეო პოლიტიკაში ის კურსი არ აირჩია: ამერიკის პრეზიდენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს იქ, სადაც უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე და ძალა, – აღნიშნა ამერიკელმა კანონმდებელმა.

მისი თქმით, ტირანთან ასეთი საუბრებით მშვიდობას ვერ მიაღწევ. ბაიდენს პუტინისთვის უნდა დაეთმო სულ ხუთი წუთი, სადაც გამოჩნდებოდა მტკიცე მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ.

კრემლისადმი შემრიგებლობაში დასავლეთს პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამაც უსაყვედურა. ვალენსა აღიარებს, რომ ადრე პუტინის მხარდამჭერი იყო. ახლა კი, მისი აზრით, მსოფლიო უნდა გაერთიანდეს და არ დაუშვას რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე. ვალენსა იმასაც კი ამბობს, რომ კიევზე აგრესიის დაწყებას, დასავლეთმა უნდა მოაყოლოს დარტყმა მოსკოვზე.

ვალენსა აფასებს გერმანიისა და საფრანგეთის ბიზნეს და ეკონომიკურ საერთო ინტერესებს რუსეთთან და აცხადებს, რომ თუ პუტინს მიეცემა უკრაინაზე თავდასხმის საშუალება, ამ ბიზნესიდან საბოლოოდ აღარაფერი დარჩება.

რუსეთზე ენერგეტიკულად დამოკიდებულ გერმანიის ფედერაციაში რუსეთისადმი კრიტიკაც ხშირია. ბუნდესტაგის წევრი, „ლიბერალების“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ლამსდორფი გამოდის ინიციატივით, მოხდეს რუსი ოლიგარქების უძრავი ქონების კონფისკაცია:

– ზოგიერთ რუს ოლიგარქს გერმანიაში უზარმაზარი სამფლობელოები აქვს. უნდა მოხდეს მათი რეკვიზირება, თუ არსებობს ეჭვები დაფინანსებაში.

კონფისკაცია, მისი სიტყვებით, უნდა მოხდეს მაშინ, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება. საეჭვო ქონების ჩამორთმევის გარდა, კანონმდებლის აზრით, უნდა განხორციელდეს გარკვეული პირების გადაადგილების შეზღუდვა და მათთვის ანგარიშების გაყინვა.

– პუტინს უნდა ესმოდეს, რომ უკრაინაზე თავდასხმა ნიშნავს ევროპასთან ურთიერთობის დასასრულს, – ამბობს ლამსდორფი.

დასავლეთის ერთიანი პოზიცია აშფოთებს რუსეთს. კრემლში იმედოვნებენ, რომ ევროპელები რუსეთთან თანამშრომლობის გზას აირჩევენ.

– აშშ ზეწოლას ახდენს თავის ევროპელ პარტნიორებზე და უთითებენ მათ საგარეო ვექტორის განვითარებზე. იმედია, ჯანსაღი აზრი ევროპის ხელმძღვანელობაში გაიმარჯვებს. ევროკავშირმა „საერთო საქმეზე“ უნდა იფიქროს, – აცხადებს პუტინის პრესმდივანი პესკოვი.

უკრაინაზე აგრესიისთვის მსოფლიოში ყველა ემზადება. განსაკუთრებული სამზადისი შეინიშნება მეზობელ პოლონეთში. პოლონეთის შს მინისტრი კამინსკი ამბობს, ქვეყანა განიხილავს პოლონეთში უკრაინელი ლტოლვილების ნაკადების შესაძლო მოზღვავების სცენარსაც. ამისთვის განსაკუთრებულ თადარიგს იჭერენ პოლონეთის რეგიონების ხელმძღვანელები.

არსებობს მოსაზრება, რომ პუტინი უკრაინაში არ შეიჭრება.

რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი მაიკლ მაკფოლი ამბობს, რომ პუტინს გაურკვევლობა, ბუნდოვანი მდგომარეობა აწყობს. სანამ პუტინი კრემლშია, ამ კურსის გამტარებლად დარჩება.

– ეს არ ნიშნავს, რომ ის საზღვარზე მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაში იყოლიებს 100-ათასიან დაჯგუფებას. ის პერიოდულად ჩააყენებს იქ ჯარს, შემდეგ – გამოიყვანს. ამით შეინარჩუნებს უკრაინაზე ზეწოლას, – მიაჩნია მაკფოლს.

ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე გახარიას პარტიელი გიგა ფარულავა გახდა

ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ წევრი გიგა ფარულავა გახდა.

კენჭისყრაში მონაწილეობა საკრებულოს 25-მა დეპუტატმა მიიღო, მათ შორის, კანდიდატს მხარი დაუჭირა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ.

კენჭისყრაში „ქართულ ოცნებას“ მონაწილეობა არ მიუღია.

პროკურატურა: „პატიმრის გამოსაშვებად ზვიად ქორიძისთვის 20.000 ლარი მოითხოვეს“

„ფულის მოთხოვნა და 12.000 ლარის გადაცემა ფარულადაა ჩაწერილი“

საქართველოს პროკურატურა მედიაში ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყება განცხადებაში აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მედიასაშუალებისთვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ სიუჟეტში გასულ სისხლის სამართლის საქმეზე ყველა ფარული საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა სასამართლოს განჩინების საფუძველზე იყო ჩატარებული, არაერთხელ გააჟღერა განზრახ ყალბი ინფორმაცია პროკურატურის მხრიდან უკანონო მოსმენების განხორციელების თაობაზე, რაც ხაზს უსვამს მათ ქმედებაში ყალბი ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და საქართველოს პროკურატურის დისკრედიტაციის მიზანს.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხება 2017 წლის 21 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაწყებულ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტზე. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის სახელს და მასთან ნაცნობობას დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იყენებდნენ. ამასთან, გამოძიების შედეგად მოპოვებული ფარული აუდიო ჩანაწერებით დადასტურდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრსა და შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძეს შორის შედგა სატელეფონო კომუნიკაციაც.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში, ფარული საგამოძიებო მოქმედებები კანონის სრული დაცვით ჩატარდა შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის მიმართ, რის შესახებაც მას ეცნობა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

„გვსურს გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ მორიგ სუბიექტურ და ცრუ ინფორმაციას, რომელიც თითქოსდა უკანონო ფარულ მოსმენებს ეხება. კონკრეტულმა მედიასაშუალებამ მიუხედავად იმისა, რომ მისთვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ სიუჟეტში გასულ სისხლის სამართლის საქმეზე ყველა ფარული საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა სასამართლოს განჩინების საფუძველზე იყო ჩატარებული, რაც ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ ყველა ეს მოქმედება კანონიერია, არაერთხელ გააჟღერა განზრახ ყალბი ინფორმაცია პროკურატურის მხრიდან უკანონო მოსმენების განხორციელების თაობაზე, რაც ხაზს უსვამს მათ ქმედებაში ყალბი ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და საქართველოს პროკურატურის დისკრედიტაციის მიზანს. აქვე, ხაზგასმით ვაცხადებთ და საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედებები – „სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა“ და „ფარული ვიდეოჩაწერა და აუდიოჩაწერა“ საქართველოს პროკურატურაში 2017 წელს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელდა.

კერძოდ, 2017 წლის 21 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტზე.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ერთ-ერთი მსჯავრდებულის განცხადება, რომლის თანახმადაც, მას კონკრეტული პირები თანხის გადახდის სანაცვლოდ, შეწყალების გზით, პატიმრობიდან გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სრული და ობიექტური გამოძიების წარმართვის მიზნით, გენერალურ პროკურატურაში დაიგეგმა და ჩატარდა არაერთი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება, გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, გამოთხოვილი იქნა ელექტრონული ინფორმაცია, ასევე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, შესაძლო დანაშაულთან კავშირში მყოფი მქონე პირების მიმართ ჩატარებულ იქნა ფარული საგამოძიებო მოქმედებები – „სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა“ და „ფარული ვიდეოჩაწერა და აუდიოჩაწერა“.

საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების შედეგად დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის სამმა წევრმა პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულს და მის ახლო ნათესავს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარისთვის ზვიად ქორიძისთვის შეწყალებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით გადასაცემად მოსთხოვეს 20.000 ლარი, რის შემდეგაც მათ მსჯავრდებულის ახლო ნათესავისგან ზვიად ქორიძისთვის გადასაცემად აიღეს მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 12.000 ლარი.

აღნიშნული თანხის მოთხოვნა და თანხის გადაცემა, ასევე დაფიქსირებული იქნა მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებით, ფარული ვიდეო-აუდიო გადაღების გზით. მიუხედავად მათი არაერთი დაპირებისა, მსჯავრდებულის შეწყალება არ მომხდარა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის სახელს და მასთან ნაცნობობას დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იყენებდნენ. ამასთან, გამოძიების შედეგად მოპოვებული ფარული აუდიო ჩანაწერებით დადასტურდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრსა და შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ზვიად ქორიძეს შორის შედგა სატელეფონო კომუნიკაციაც.

ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების წარმოებისა და ყველა საგამოძიებო ვერსიის გადამოწმების მიზნით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები ასევე ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიმართ, რის შესახებაც მას ეცნობა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის და ვადის დაცვით. ასევე, გამოძიების ფარგლებში, ამავე საქმეზე მოხდა მისი მოწმის სახით გამოკითხვა.

გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ დანაშაულებრივი ჯგუფის სამივე წევრს ბრალდება წარუდგინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით ითვალისწინებს. რაც შეეხება აღნიშნული გამოძიების ფარგლებში ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალას, სრულად დაერთო საქმეს მტკიცებულების სახით.

საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ ორი ბრალდებულის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა ამჟამადაც მიმდინარეობს, ხოლო მესამე ბრალდებული სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე მიმდინარეობდა. ასევე, ამავე გამოძიების ფარგლებში, ფარული საგამოძიებო მოქმედებები კანონის სრული დაცვით ჩატარდა შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის მიმართ, რის შესახებაც მას ეცნობა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული მედიასაშუალება ინფორმირებული იყო აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანმიმართულად საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, დამახინჯებული ფაქტებით გაჯერებულ და სუბიექტურ ინფორმაციას ავრცელებს, რაც მათი მხრიდან წარმოადგენს მორიგ მცდელობას შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება და უწყების დისკრედიტაცია მოახდინონ.

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტს კორუფციის პრევენცია, გამოვლენა და მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მკაცრი მიდგომები ხორციელდება კორუფციული დანაშაულის ჩამდენი ყველა პირის მიმართ, რაც მომავალშიც გაგრძელდება. მოვუწოდებთ ხსენებულ მედიასაშუალებას, უარყოს მის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია უკანონო მოსმენების განხორციელების თაობაზე და საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაცია“ – აღნიშნულია პროკურატურის ინფორმაციაში.

გოგა გზირიშვილი: „ორსული ცოლი, ქეთა კეპულაძე, მე მოვკალი, მაგრამ ამის სურვილი არ მქონია“

– მე მოვკალი, მაგრამ განზრახ არ მინდოდა.

ამის შესახებ ორსული ცოლის, ქეთა კეპულაძის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში ბრალდებულმა გოგა გზირიშვილმა გუშინ, 14 თებერვალს, სასამართლო პროცესზე განაცხადა.



როგორც ბრალდებულმა განმარტა, ის დანაშაულს აღიარებს, თუმცა, ბრალის კვალიფიკაციას არ ეთანხმება.

– დამნაშავედ ვცნობ თავს, მაგრამ მკვლელობა განზრახული არ მქონია. მოვკალი, კი, მე დავრეკე პოლიციაში და ვაღიარე, განზრახ არ მინდოდა, – განაცხადა გზირიშვილმა.

მან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვაზე უარი განაცხადა.

შესაბამისი კითხვით, სურდა თუ არა, ბრალდებულს მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განეხილა, მოსამართლე გიზო უბილავამ გოგა გზირიშვილს მიმართა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე, ასევე, გადაისინჯა გზირიშვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და ის ძალაში დარჩა. შესაბამისად, აღნიშნული საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა.

როგორც საქმის პროკურორი ლევან ვეფხვაძე აცხადებდა, დაკავებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის, მტკიცებულებების განადგურებისა და მიმალვის საფრთხე არსებობს. პროკურორის თქმითვე, გზირიშვილის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება პატიმრობაში ძალაში უნდა დარჩენილიყო.

ბრალდებულის ადვოკატის განმარტებით, დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოს სანაცვლოდ უნდა შეცვლილიყო, თუმცა, გზირიშვილმა ადვოკატისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ მისი სურვილია, ის პატიმრობაში დარჩეს.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება დასაშვებად იქნა ცნობილი.

ცნობისთვის, 22 დეკემბერს, თბილისში, ბრალდებულმა გოგა გზირიშვილმა განზრახ მოკვლის მიზნით, დანით ორსულ მეუღლეს – ქეთა კეპულაძეს განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა არეში 30 ჭრილობა მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ორსული კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჟურნალისტების მიმართ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებული 7 პირი კვლავ პატიმრობაში რჩება

ჟურნალისტების მიმართ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებულები კვლავ პატიმრობაში რჩებიან. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კონსტანტინე კოპალიანმა გუშინ, 14 თებერვალს, მიიღო.

გუშინდელ სხდომაზე დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

ბრალდების მხარე ბრალდებულების მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვებას, დაცვის მხარე კი დაკავებულების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

პროცესზე რამდენიმე გამომძიებელი და „რუსთავი2“-ის ჟურნალისტი თამარ თათარაშვილი დაიკითხნენ.

მან დეტალურად გაიხსენა 5 ივლისის მოვლენები, ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა და ასევე მის მიმართ მოპედის დაჯახება.

სხდომაზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა მურად დევლარიშვილმა ისაუბრა და მისი 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება ითხოვა. აღნიშნულის საფუძვლად მან საკუთარი ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობა დაასახელა.

– არაფერი დამიმალავს, ნამდვილად დავარტყი ხელი ერთ ადამიანს. ბავშვების მომავალი, არსებობა, საბანკო ვალდებულებები ჩემზეა.

11 წლის ბავშვი მეორე სემესტრიდან სკოლაში არ მისულა, სოფელში გავუშვი მამაჩემთან, რომ ყურადღება მიაქციოს. 8 წლის დემეტრე ამბობს, რა ჩავიდინო ისეთი, რომ მამასთან წავიდეო, – განაცხადა დევლარიშვილმა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, 7-ვე ბრალდებული პატიმრობაში რჩება.

ცნობისთვის, რუსთაველის გამზირზე, მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ძალადობრივ ქმედებებზე და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 126-ე (ძალადობა) მუხლებით მიმდინარეობს.

ეპიზოდზე, რომელშიც 27 ბრალდებულია, 53 დაზარალებულია.

საერთო ჯამში, საქმეს 31 ბრალდებული და 57 დაზარალებული ჰყავს.

მუხიანში სახლის ეზოში დავით თევზაიას ცხედარი იპოვეს

გუშინ, 14 თებერვალს, მუხიანში ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს.

გომბრონიძის ქუჩის მცხოვრებლებმა 36 წლის დავით თევზაიას ცხედარი გუშინ დილით, ეზოში იპოვეს და პოლიცია გამოიძახეს.

გარდაცვლილი ამავე ბინაში ცხოვრობდა.

ცნობილია, რომ გარდაცვლილი „ვაგზლის მოედანზე“ მცირე ბიზნესის მფლობელი იყო. მეზობლები ამბობენ, რომ მას სუიციდის არანაირი მოტივი არ ჰქონდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ 36 წლის კაცი ბოლო დღეების განმავლობაში სახლში არ იმყოფებოდა, მან თანამშრომლებს უთხრა, რომ რეგიონში მიდიოდა.

გარდაცვლილის ახლობლების ნაწილი თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს და ამბობენ, რომ თევზაიას პრობლემები არ ჰქონდა, ხოლო ნაწილი პირად საუბრებში ამბობს, რომ ცხედარი გარდაცვლილი გადმოაგდეს და მას მაისური ჰქონდა შემოხეული.

ადგილობრივი მაღაზიის თანამშრომლის ინფორმაციით, პოლიციას სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები არ ამოუღია.

გარდა ამისა, ადგილზე ამბობენ, რომ სისხლის კვალი არ შეუმჩნევიათ.

საბურთალოზე სასტუმრო გაზით აფეთქებას გადაურჩა

საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთი სასტუმრო გაზით აფეთქებას გადაურჩა.

„თბილისი ენერჯის“ ინფორმაციით, შენობის ბოლო სართულზე, სამზარეულოში უყურადღებობის გამო, გაზქურის ონკანი გახსნილი დატოვეს და მთელ შენობაში გაზის სუნი იგრძნობოდა. როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 114-ის სწრაფი რეაგირების ოპერატიული მოქმედებით, შენობაში მყოფი ადამიანები ტრაგედიას გადაურჩნენ.

კომპანია მომხმარებლებს აფრთხილებს, ყურადღება გამოიჩინონ გაზის დანადგარებთან და დაიცვან უსაფრთხო მოხმარების წესები.

უკრაინამ ლიეტუვისგან „სტინგერის“ სარაკეტო სისტემები მიიღო

უკრაინამ ლიეტუვისგან „სტინგერის“ საზენიტო-სარაკეტო სისტემები და საბრძოლო მასალა მიიღო. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლეკსი რეზნიკოვი „ტვიტერში“ წერს.

რეზნიკოვი ლიეტუვის მთავრობასა და ხალხს მადლობას უხდის.

„მადლობა ლიეტუვის მთავრობას, ლიეტუველ ხალხს დახმარებისთვის. ვაფასებ ჩვენს მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და ერთმანეთის მიმართ ძლიერ მხარდაჭერას!“– წერს უკრაინის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი.

ამასთან, ორმა თვითმფრინავმა უკრაინაში შეერთებული შტატებიდან დაახლოებით 180 ტონა საბრძოლო მასალა ჩაიტანა.

ოლეკსი რეზნიკოვი წერს, რომ უკრაინას აშშ-სგან, საერთო ჯამში, 1.500 ტონამდე საბრძოლო მასალა აქვს მიღებული.

– ჩვენს მეგობრებს არ სძინავთ, – აცხადებს უკრაინის თავდაცვის მინისტრი.

ჯონსონი: „პუტინს უკან დახევის დრო აქვს“

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის განცხადებით, არსებული სიტუაცია ძალიან რთულია და საკმაოდ ცხადი მტკიცებულებები არსებობს, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრას გეგმავს.

– საკმაოდ ცხადი მტკიცებულებები არსებობს, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრას გეგმავს. უკრაინის საზღვარზე ჯარისკაცების კონცენტრაცია და ყველა სხვა ნიშანი აჩვენებს, რომ სერიოზული მზადება მიმდინარეობს, – აღნიშნა ჯონსონმა.

მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს, ჯერ კიდევ აქვს უკან დახევის დრო.

– ძალიან, ძალიან საშიში, რთული სიტუაციაა, მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო, რომ პრეზიდენტმა პუტინმა უკან დაიხიოს, – აღნიშნა ჯონსონმა.

მისი თქმით, დასავლეთმა რუსეთი აგრესიის წინააღმდეგ ერთიანობა უნდა შეინარჩუნოს და ერთიანი ფრონტის დემონსტრირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეკონომიკურ სანქციებს ეხება.

– გაერთიანებული სამეფო, როგორც მოგეხსენებათ, წამყვან როლს ასრულებს ჩვენი მოკავშირეების გაერთიანებაში, იმისთვის, რომ არსებობდეს სანქციების მკაცრი პაკეტი. ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთი იყოს ერთიანი, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი გერმანიის პრეზიდენტად მეორედ აირჩიეს

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი გერმანიის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს.

მოქმედმა პრეზიდენტმა ბერლინში ფედერალურ კრებაზე 77%-იანი მხარდაჭერა მოიპოვა.

ბოლოდროინდელი გამოკითხვების თანახმად, გერმანელთა 85% ფიქრობს, რომ ის კარგ საქმეს აკეთებს.

შტაინმაიერი სარგებლობს როგორც მმართველი კოალიციის, ასევე ძირითადი კონსერვატიული ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით.

გერმანიის პრეზიდენტის ასარჩევად საყოველთაო არჩევნები არ ტარდება. მას ფედერალური კრება ირჩევს.

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი პრეზიდენტის თანამდებობაზე პირველად 2017 წელს აირჩიეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

შიშველი „რომის პაპის შვილმა“ სამი დღე ქალის ავტომობილში იცხოვრა

აშშ-ში ქალმა აღმოაჩინა, რომ მის ავტომობილში სამი დღე იმალებოდა მისთვის სრულიად უცნობი შიშველი მამაკაცი.

ბეტანი კოკერის თქმით, მან თავისი ავტომობილი ღამით სახლის გვერდით გააჩერა, სანამ მეგობრებთან ერთად ისვენებდა. დილით მანქანა დაქოქა, ხოლო როდესაც ჩაჯდა, მის სალონში ქუჩის ჭუჭყი და ტალახი შენიშნა. ორი დღის შემდეგ, დილით საქმეზე წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც ავტომობილის დაბინძურების წყაროს მიაგნო.

აღმოჩნდა, რომ მის მანქანაში რამდენიმე დღე თავს აფარებდა შიშველი მამაკაცი, რომელიც მის სალონში ღამით საბარგულიდან ძვრებოდა. ქალმა ის იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა. შეშინებულმა მანქანის პატრონმა პოლიცია გამოიძახა, დაუპატიჟებელი სტუმრის მობილური ტელეფონის ვიდეოკამერით გადაღება დაიწყო და ჰკითხა, თუ რას აკეთებდა მის მანქანაში.

– ეს გადასხვაფერების წესია, მე რომის პაპის შვილი ვარ, – უპასუხა უცნობმა მამაკაცმა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა აღიარეს, რომ აქამდე მსგავს შემთხვევას არ გადაწყდმიან. რამდენიმე დღის შემდეგ კოკერმა შეიტყო, რომ მის ავტომობილში ჩასახლებული უცნობი მამაკაცი ფსიქიატრიული საავადმყოფოდან იყო გამოქცეული და ძებნაში იმყოფებოდა.

1200 წლის ბრიტანული პაბი გაკოტრდა

უძველესი ბრიტანული პაბი Ye Olde Fighting Cocks-სი, რომელმაც 1200 წელზე მეტი იარსება, სარესტორნო ბიზნესში კორონავირუსის პანდემიისგან წარმოშობილი პრობლემების გამო გაკოტრდა. ამის თაობაზე

დაწესებულების მფლობელმა კრისტო ტოფალიმ ფეისბუქში პაბის გვერდზე დაწერა.

– დიდი მწუხარებით უნდა შეგატყობინოთ, რომ ყოვლად უკიდურესი პერიოდის შემდეგ Ye Olde Fighting Cocks-სი გარე მმართველობაზე გადადის. ჩვენ გუნდთან ერთად ყველაფერი მოვსინჯეთ იმისთვის, რათა პაბს არსებობა გაეგრძელებინა. თუმცა ბოლო ორი წელი უპრეცედენტოდ რთული იყო რესტორან-სასტუმრო ბიზნესისთვის და ყველა ჩვენგანს, რომლებიც ვცდილობდით ყველაფერი გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ უამრავი ჯილდოს მფლობელ პაბს მომავალშიც შეძლებოდა მუშაობის გაგრძელება, დიდი დამარცხება გვაგემეს, – განაცხადა ტოფალიმ.

მისი თქმით, დაწესებულების ფინანსური პრობლემები საკმაოდ დიდი იყო პანდემიის დაწყებამდეც, თუმცა გადარჩენის მათმა გეგმამ არ იმუშავა.

კასატკები მსოფლიოში ყველაზე დიდ ცხოველს დაესხნენ თავს

მკვლევარი მეცნიერების ჯგუფმა, რომლებიც პერტის სანაპიროს იკვლევდნენ, პირველად დააფიქსირეს კასატკების, რომლებიც ასევე მკვლელი ვეშაპების სახელითაც არიან ცნობილნი, ლურჯ ვეშაპზე თავდასხმის ფაქტი.

მეცნიერების თვალწინ კასატკები იმისთვის გაერთიანდნენ, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის არსებას თავს დასხმოდნენ და აიძულეს, წყლის სიღრმეში ჩაეყვინთა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მთელი ამ ნადირობის დროს კასატკები უზარმაზარ ვეშაპს პირში უცვივდებოდნენ და ენას აგლეჯდნენ.

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდის ფლინდერსის უნივერსიტეტის ასპირანტმა იზაბელ რივზმა შემდეგნაირად აღწერა ის, რაც ხდებოდა: „როდესაც ადგილზე მივაღწიეთ, დაახლოებით 14 კასატკა თავს დაესხა ვეშაპს, ამასთან, შეტევას მდედრები მეთაურობდნენ. ჩვენ დიდი იარა შევნიშნეთ ვეშაპის თავის ზედა ნაწილში. ამავე დროს, ზურგის ფარფლი აღარ ჰქონდა. ნაკბილარები ვეშაპს მთელ ზურგზე ეტყობოდა“.

წამყვანმა მკვლევარმა ჯონ ტოტერდელმა აღნიშნა, რომ თავდასხმის შედეგად ვეშაპი სისხლისგან იცლებოდა და საშინლად დაუძლურდა. ეს აშკარად ჩანდა მისი შენელებული მოძრაობით. მალე კი მან საერთოდ შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა და რაღაც მომენტში ის მკვლევრების თვალთახედვის არიდან გაუჩინარდა. საბოლოოდ მათ მისი სხეულის ნაწილებსაც კი ვერსად მიაგნეს.

დედამ შვილი ლეოპარდისგან ჯოხით დაიცვა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის სოფელ გერდას მცხოვრებმა ქალმა ჯოხის დახმარებით მოახერხა ლეოპარდის გაგდება, რომელიც მის ექვსი წლის გოგონას თავს დაესხა და მისი გადარჩენა შეძლო.

მტაცებელი ექვსი წლის გოგონას თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ის ეზოში თამაშობდა. ლეოპარდი ბავშვს თავს დაესხა და მისი ტყისკენ

გატაცება ცადა.

ამ დროს გოგონას დედა, რინა დევი, სახლს აღაგებდა. მან ბავშვის ყვირილი გაიგონა, ჯოხი ხელში მოიმარჯვა და ლეოპარდს თავს დაესხა. მტაცებელი დაფრთხა, უკან დაიხია და გაიქცა.

ინციდენტის შედეგად გოგონამ სერიოზული დაზიანებები მიიღო სახისა და თავის არეში. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

შემთხვევის ადგილზე სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლები მივიდნენ. სავარაუდოდ, ლეოპარდი სოფელში ნანპარას ნაკრძალიდან მივიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რობერტ ლევანდოვსკი: „ჯილდოებს ფეხბურთის თამაშისგან სიამოვნების მიღება მირჩევნია“

მიუნხენის ბაიერნისა და პოლონეთის ნაკრების ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი ფიფას გამარჯვებული გახდა. ფეხბურთელი პოლონურ მედიას ესაუბრა და საკმაოდ საინტერესო თემებზეც ისაუბრა.

– „ოქროს ბურთი“ ვერ მოიგეთ, მაგრამ ფიფამ მაინც საუკეთესოდ გაღიარათ.

– ბოლო დროს ვფიქრობდი 2 ჯილდოზე – ფიფას პრიზსა და „ოქროს ბურთზე“. იმ აზრამდე მივედი, რომ ფიფას პრიზს მართლაც მეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ოქროს ბურთისთვის“ ხმას მხოლოდ ჟურნალისტები აძლევენ. იქ არ არსებობს სიზუსტე.

ფიფას ხმის მიცემაში კი პროფესიონალებიც მონაწილეობენ და ჟურნალისტებიც. იქ ხმას აძლევენ გუნდების კაპიტნები, მწვრთნელები. მათ შეუძლიათ რეალისტურად და ობიექტურად შეაფასონ ჩვენი სათამაშო დონე, რადგან იციან, რა ძალისხმევად გვიჯდება თითოეული მატჩი, თითოეული რეკორდი, თითოეული ტრავმა.

შესაძლოა, პრესტიჟის მხრივ, „ოქროს ბურთი“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ფიფა, მაგრამ ის აღიარება, რომელიც ფიფას პრიზის ზედიზედ 2-ჯერ მოგებით მივიღე, სიამაყის საფუძველს მაძლევს, რადგან ვიცი, მრავალი წლის განმავლობაში როგორ ვშრომობდი.

არ ხდება ისე, რომ წაგებული ცერემონიის შემდეგ ღამით ძილი არ შემიძლია. საერთოდ არ ვფიქრობ იმაზე, თუ რატომ დავმარცხდი. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გავაცნობიერე, რომ საფეხბურთო პოლიტიკა ხანდახან ასევე თამაშობს თავის როლს.

ჩემზე ხმის მიცემის შედეგები არ მოქმედებს, ეს არ არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. მირჩევნია თამაშისგან სიამოვნება მივიღო და ჩემს გუნდებს წარმატების მიღწევაში დავეხმარო.

– ფიფას გამოკითხვაში ხმა არ მოგცათ ლეო მესიმ.

– სამაგიეროდ, მე მივეცი მესის ხმა, რადგან ვაფასებ იმას, რაც 2021 წელს გააკეთა, და მთლიანად მის კარიერასაც. მესიმ ჩემ შესახებ „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიაზე ილაპარაკა. რატომ შეიცვალა მისი აზრი არ ვიცი.

არ მაქვს სინანულის გრძნობა, არც მისი მისამართით კრიტიკას ვაპირებ. ეს იყო მესის გადაწყვეტილება და ის მივიღე. ამით ყველაფერი დამთავრებულია. ჯილდო მაინც დავიმსახურე, ასე რომ, არ გამიჭირდა მისი გადაწყვეტილების მიღება.

– სეზონის წინ, რონალდუმ და მესიმ კლუბები შეიცვალეს. მათ ამ გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებთ?

– რონალდუს მიმართ სხვა მოთხოვნებია, მესი კი სხვა ტიპის მოთამაშეა. ასაკის მატებასთან ერთად, რონალდუსთვის გოლების მხრივ ძველი სტატისტიკის შენარჩუნება რთული იქნება.

– გიხარიათ, რომ შეინარჩუნეთ ბაიერნის მიმართ ერთგულება?

– მესისთვის კლუბის შეცვლა უფრო ცუდი გამოდგა და დიდი გამოცდილებაა. ლეოს ესპანეთის გარდა არსად უთამაშია, არასოდეს სხვა ენაზე არ ულაპარაკია. ის ენობრივ ბარიერს წააწყდა. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ ასაკში მიდიხარ სხვა გუნდში. მნიშვნელოვანია გარემოებები.

– რონალდუ უკვე ასაკშია, როგორ ფიქრობთ, ეს ხელს შეუშლის გოლების გატანაში?

– კრიშტიანუ 3.5 წლით უფროსია ჩემზე და ჯერ ისევ ბევრს იტანს. მან კლუბი შეიცვალა, იქ კი სხვა ტაქტიკაა, მისი გუნდი ყოველთვის წარმატებული არ არის. როცა მანჩესტერ იუნაიტედი დაიბრუნებს ბალანსს, რონალდუ ისევ შეძლებს ბევრი გოლის გატანას.

ის მიეჩვია მაღალ სტატისტიკას, დაუჯერებელ ციფრებს. დღეს ეს „უბრალოდ“ ძალიან კარგი რიცხვებია. შესაძლოა, წელიწადში 60 გოლი ვეღარ გაიტანოს, მაგრამ 30 ან 40 გოლი სავსებით შესაძლებელია.

– ბუნდესლიგაში თქვენი მთავარი კონკურენტი ერლინგ ჰალანდია. ადევნებთ თვალს მის თამაშს?

– ერლინგი ისეთი ფეხბურთელი არ არის, როგორიც მე. ის ძლიერია, სწრაფი, მძლავრი და მისი თამაშიც ამაზეა აგებული. მე სხვა თვისებები მაქვს. მაგრამ არ ვიცით, როგორ განვითარდება ის მომავალში.

ის ფაქტი, რომ რომელიმე ფეხბურთელს დიდი ტალანტი აქვს, არ ნიშნავს, რომ ვარსკვლავი დიდი ხნის განმავლობაში აუცილებლად იქნება. არ მიყვარს 33 წლის ფეხბურთელის შედარება 21 წლის ახალგაზრდასთან. თითოეულს განვითარების საკუთარი გზა გააჩნია.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჰალანდი შესანიშნავია და მასზე დაკვირვება ერთი სიამოვნებაა.

– ჩემპიონთა ლიგაში რა შანსები ექნება ბაიერნს?

– ბაიერნს ყოველთვის ტიტულების მოგება უნდა. იქიდან გამომდინარე, როგორ ვთამაშობთ და როგორი შემადგენლობა გვყავს, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევით.

მაგრამ ყველაზე მთავარია ფეხბურთელების ჯანმრთელობა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდებში. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ფიზიკური კონდიციების საკითხში დრო ზუსტად განვსაზღვროთ. ყველაზე საჭირო მომენტში უნდა მივაღწიოთ ფორმის პიკს.

– როგორ ფიქრობთ, ფეხბურთში ვარ-ის შემოღებამ უფრო დადებითად იმოქმედა?

– მსაჯების შეცდომების გამო ჩემპიონთა ლიგის 2 ნახევარფინალი და 1 მეოთხედფინალი მაქვს წაგებული. არადა, შეგვეძლო ფინალში გავსულიყავით და ტურნირიც მოგვეგო. ვფიქრობ, ვარ-ი კარგი სისტემაა, თუ მას სწორად გამოიყენებენ.

– ახლა ბევრი საუბარი მიდის მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ჩატარებაზე. ემხრობით ამ წინადადებას?

– არ ვარ ამ იდეის ფანი. ისედაც ბევრ მატჩს ვთამაშობთ, ბევრი დატვირთული კვირის გადატანა გვიწევს. მომავალზე უნდა ვიფიქროთ: თამაშის ხარისხი დაეცემა, რადგან ფეხბურთელებს დასვენება ესაჭიროებათ. მე არ მგონია, რომ შესაძლებელია მსოფლიოს ჩემპიონატის ყოველ 2 წელიწადში ჩატარება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ბითაძის დრო არასტაბილურია, ბურჯანაძე სანაკრებოდ გამოჯანმრთელდა

ნბა-ში გოგა ბითაძემ და ინდიანამ მორიგი მატჩი გამართეს. ინდიანა-პოლისელები ამჯერად შინ მინესოტა ტიმბერვულვზს დაუხვდნენ და 120:129 წააგეს.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ იმდენი დრო არ დაუთმეს, რამდენის მოლოდინიც გვქონდა. გოგამ პარკეტზე 18:51 წუთი გაატარა, რა დროშიც ურიგოდ არ უთამაშია. ჩვენებურმა ოთხჯერ შეუტია მეტოქის კალათს და სამჯერ ზუსტად მოათავსა ბურთი, ამას ერთი საჯარიმოც (ორიდან) დაურთო და ჯამში 7 ქულა, 3-3 მოხსნა და პასი, აგრეთვე 2 დაფარება მიითვალა. პასივში კი 2 დაკარგვა და ამდენივე ფოლი ჰქონდა.

ინდიანა 19 მოგებითა და 39 მარცხით აღმოსავლეთ დივიზიონში მე-13 ადგილზეა. მომდევნო მატჩი კი, 16 თებერვალს, სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსთან, სტუმრად უწევს.

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში დამაჯერებელი გასვლითი გამარჯვება მოიპოვა ტენერიფემ, რომელმაც სტუმრად ხუვენტუდი 74:58 გაანადგურა და ამაში გიორგი შერმადინის წილი უდიდესია. ქართველი ცენტრი ამჯერად ვერ გახდა მატჩის მვპ, ჩვენებურს თანაგუნდელმა მარსელინიო უერტასმა შედეგიანობით ოდნავ აჯობა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 26:46 წუთში 20 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 8-დან 6 ორქულიანი და 11-დან 8 საჯარიმო ჩააგდო. მისმა სარგებლიანობის ინდექსმა 27 შეადგინა, რაც 2-ით ნაკლებია მარსელინიო უერტასისაზე, რომელმაც 22 ქულა, 6 პასი, 5 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. ტენერიფეს 11 მოგების წილ 8 მარცხი აქვს და ცხრილში მე-5 ადგილზეა.

საქართველოს ეროვნული გუნდის კალათბურთელმა ბექა ბურჯანაძემ 23 იანვრის (ბილბაოსთან დაშავდა) შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა და ეს, სანაკრებო ფანჯრის მოახლოების ფონზე მნიშვნელოვანი სიახლეა.

ბურჯანაძის ბეტისი ამჯერად ბასკონიას ესტუმრა და 72:93 წააგო, ქართველმა მძიმე ფორვარდმა კი, მოედანზე 10:51 წუთი გაატარა.

ბექამ მხოლოდ 1 ორქულიანი ესროლა და ისიც არაზუსტად, აქტივში 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა ჰქონდა, პასივში კი – 1 დაკარგვა და 2 პერსონალური ფოლი.

ბეტისელთა რიგებში საუკეთესონი ლატვიელი ანზეის პასეჩნიკი და ჩრდილოეთ მაკედონიის წევრი ჯეიკობ ვილი იყვნენ, რომელთაც 24-24 ქულა ჩააგდეს. განსაკუთრებით საინტერესოა ვილის თამაში, რადგან თებერვლის სანაკრებო ფანჯრის დროს საქართველო 2-ჯერ სწორედ მაკედონიელებს ეთამაშება.

შეგახსენებთ, რომ ილიას ზურაოსის შეგირდები მეტოქეს 24 თებერვალს თბილისში დაუხვდებიან, 27-ში კი თამაში სკოპიეშია დაგეგმილი.

ამ დროისთვის, მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯ ჯგუფს 2 გამარჯვებით ესპანეთი ლიდერობს, საქართველოსა და უკრაინას თითო მოგება-წაგება აქვს, ჩრდილოეთ მაკედონია 2 მარცხით აუტსაიდერია.

გიორგი ჩაკვეტაძე: „ჯერ სრული დატვირთვით თამაში არ შემიძლია“

ბელგიური გენტიდან გერმანიის მე-2 ბუნდესლიგაში გადაბარგებულმა გიორგი ჩაკვეტაძემ მორიგი მატჩი ითამაშა. მისმა ჰამბურგმა შინ 2:0 მოუგო უშუალო კონკურენტ ჰაიდენჰაიმს და ელიტაში აღზევებისთვის ბრძოლაში დარჩა.

ჩაკვეტაძე თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო და მოკლე დროში იქაურ გულშემატკივართ თავი შეაყვარა.

გარდა ამისა, სტადიონზე იყო

ქართველ გულშემატკივართა ჯგუფი, რომლებსაც ჩაკვეტაძის მაისურები ეცვათ და საქართველოს დროშებს აფრიალებდნენ.

გიორგი ჩაკვეტაძე:

– თამაშის დამთავრების შემდეგ შევხვდი გულშემატკივრებს და ჩემი მაისური ვაჩუქე. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჰაიდენჰაიმის დამარცხება შევძელით. ჰამბურგში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. გუნდში არიან ძალიან კარგი ფეხბურთელები. მათ შესანიშნავად მიმიღეს. მწვრთნელი ყველაფერში მეხმარება.

ჩვენი მიზანი ერთია – მოვიგოთ რაც შესაძლებელია ბევრი მატჩი და სეზონი პირველ ადგილზე დავასრულოთ...

ბელგიაში ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის არ მითამაშია. ამიტომ, ბევრს ვმუშაობ. თუმცა, ჯერ არ შემიძლია სრული მატჩის ჩატარება. შესაძლოა, შემდეგში 35-45 წუთი ვითამაშო.

ჰამბურგი გერმანიის მე-2 ბუნდესლიგაში 40 ქულით მე-3 ადგილზეა, მაგრამ მხოლოდ თითო ქულით ჩამორჩება ლიდერებს – ზანკტ პაულსა და ბრემენის ვერდერს.

შედეგები

13 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ლივერპული 0:1
ნიუკასლი-ასტონ ვილა 1:0
ტოტენჰემი-ვულვზი 0:2
ლესტერი-ვესტ ჰემი 2:2

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	25	20	3	2	61-14	63
2.ლივერპული	24	16	6	2	61-19	54
3.ჩელსი	24	13	8	3	48-18	47
4.ვესტ ჰემი	25	12	5	8	44-33	41
5.მანჩესტერი	24	11	7	6	38-32	40
6.არსენალი	22	12	3	7	34-25	39
7.ვულვზი	23	11	4	8	21-17	37
8.ტოტენჰემი	22	11	3	8	28-29	36
9.ბრაიტონი	23	7	12	4	25-23	33
10.საუთჰემპტონი	24	6	11	7	30-37	29
11.ლესტერი	22	7	6	9	36-41	27
12.ასტონ ვილა	23	8	3	12	31-36	27
13.კრ.პალასი	24	5	11	8	32-35	26
14.ბრენტფორდი	25	6	6	13	26-40	24
15.ლიდსი	23	5	8	10	27-46	23
16.ევერტონი	22	6	4	12	28-38	22
17.ნიუკასლი	23	4	9	10	25-44	21
18.ნორვიჩი	24	4	5	15	14-50	17
19.უოტფორდი	23	4	3	16	23-43	15
20.ბარნლი	21	1	11	9	17-29	14

ინგლისი. ჩემპიონიერიგა

სუონსი-ბრისტოლი 3:1

გერმანია. ბუნდესლიგა

უნიონი-დორტმუნდი 0:3
ჰოფენჰაიმი-არმინია 2:0

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	22	17	1	4	70-25	52
2.დორტმუნდი	22	15	1	6	57-36	46
3.ლევერკუზენი	22	12	5	5	58-36	41
4.ლაიფციგი	22	10	4	8	43-27	34
5.ჰოფენჰაიმი	22	10	4	8	43-34	34
6.ფრაიბურგი	22	9	7	6	34-25	34
7.უნიონი	22	9	7	6	29-30	34
8.კიოლნი	22	8	8	6	34-37	32
9.მაინცი	22	9	4	9	31-24	31
10.აინტრახტი	22	8	7	7	33-34	31
11.ბოხუმი	22	8	4	10	24-32	28
12.ვოლფსბურგი	22	8	3	11	23-33	27
13.გლადბახი	22	7	5	10	30-40	26
14.ჰერტა	22	6	5	11	24-45	23
15.არმინია	22	4	10	8	21-29	22
16.აუგსბურგი	22	5	7	10	24-38	22
17.შტუტგარტი	22	4	6	12	26-42	18
18.ფიურტი	22	3	4	15	20-57	13

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-დარმშტადი 2:2
ინგოლშტადი-ზანდჰაუზენი 0:0
ფორტუნა-შალკე 2:1

ესპანეთი. პრემიერ დივიზიონი

ალავესი-ვალენსია 2:1
ლევანტე-ბეტისი 2:4
სოსიედადი-გრანადა 2:0
ესპანიოლი-ბარსელონა 2:2

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	24	16	6	2	48-20	54
2.სევილია	24	14	8	2	36-16	50
3.ბეტისი	24	13	4	7	45-29	43
4.ბარსელონა	23	10	9	4	38-27	39
5.ატლეტიკო	23	11	6	6	42-33	39
6.სოსიედადი	23	10	8	5	24-21	38
7.ვილიარეალი	24	9	9	6	38-23	36
8.ბილბაო	23	8	10	5	23-18	34
9.ოსასუნა	24	8	8	8	25-27	32
10.სელტა	24	8	7	9	28-25	31
11.რაიო	23	9	4	10	27-27	31
12.ვალენსია	24	7	9	8	36-38	30
13.ესპანიოლი	24	7	7	10	29-34	28
14.ელჩე	24	6	8	10	26-33	26
15.ხეტაფე	24	6	7	11	23-27	25
16.გრანადა	24	5	9	10	26-36	24
17.მალიორკა	22	5	8	9	19-34	23
18.ალავესი	24	5	5	14	19-39	20
19.კადისი	24	3	10	11	20-38	19
20.ლევანტე	23	1	8	14	23-50	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ეიბარი-ფუენლაბრადა 0:0
ოვიედო-უესკა 3:3
ალკორკონი-ტენერიფე 0:2
ლუგო-ამორებიეტა 1:1
ლას პალმასი-ბურგოსი 0:2

იტალია. სერია ა

მილანი-სამპდორია 1:0
ვერონა-უდინეზე 4:0
ჯენოა-სალერნიტანა 1:1
ემპოლი-კალიარი 1:1
სასუოლო-რომა 2:2
ატალანტა-იუვენტუსი 1:1

სატუნირო ცხრილი:

1.მილანი	25	17	4	4	50-26	55
2.ინტერი	24	16	6	2	55-20	54
3.ნაპოლი	25	16	5	4	46-17	53
4.იუვენტუსი	25	13	7	5	37-22	46
5.ატალანტა	24	12	8	4	46-29	44
6.ლაციო	25	12	6	7	52-39	42
7.რომა	25	12	4	9	42-32	40
8.ფიორენტინა	23	11	3	9	41-33	36
9.ვერონა	25	10	6	9	47-40	36
10.ტორინო	24	9	5	10	31-25	32
11.ემპოლი	25	8	7	10	38-48	31
12.სასუოლო	25	7	9	9	41-44	30
13.ბოლონია	24	8	4	12	29-40	28
14.სპეცია	24	7	5	12	26-44	26
15.უდინეზე	23	5	9	9	30-40	24
16.სამპდორია	25	6	5	14	33-42	23
17.კალიარი	25	4	9	12	25-46	21
18.ვენეცია	24	5	6	13	22-43	21
19.ჯენოა	25	1	12	12	21-46	15
20.სალერნიტანა	23	3	4	16	17-53	12

იტალია. სერია ბ

ასკოლი-კომო 1:1
ბრეშა-ალესანდრია 1:1
ლეჩე-ბენევენტო 1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

მონაკო-ლორიანი 0:0
ანჟე-სტრასბურგი 0:1
ბრესტი-ტრუა 5:1
კლერმონი-სტ.ეტიენი 1:2
ნანტი-რეიმსი 1:0
ლანსი-ბორდო 3:2
მეცი-მარსელი 1:2

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	24	18	5	1	52-19	59
2.მარსელი	24	12	7	4	38-21	46
3.ნიცა	24	13	4	7	36-21	42
4.სტრასბური	24	12	5	7	46-29	41
5.რენი	24	11	4	9	43-22	37
6.მონაკო	24	10	7	7	37-26	37
7.ლიონი	24	10	8	6	33-30	37
8.ლანსი	24	10	6	8	39-35	36
9.ნანტი	24	10	5	9	31-28	35
10.ლილი	24	9	8	7	32-35	35
11.მონპელიე	24	10	4	10	38-34	34
12.ბრესტი	24	8	7	9	33-36	31
13.ანჟე	24	7	8	9	30-35	29
14.რეიმსი	24	6	9	9	27-28	27
15.კლერმონი	24	6	6	12	24-41	24
16.ტრუა	24	5	6	13	21-36	21
17.ლორიანი	24	4	9	11	20-38	21
18.სტ.ეტიენი	24	5	6	13	24-45	21
19.მეცი	24	4	8	12	25-45	20
20.ბორდო	24	4	8	12	36-61	20

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

იგლზი-ალკმაარი 1:4
სპარტა-ტილბურგი 1:0
ვალვაიკი-ფეინოორდი 0:2
ჰერენვენი-ნაიმეგენი 0:1
აიაქსი-ტვენტე 5:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფამილიაკო-მორეირენშე 5:0
ბელენენსეში-გიმარაეში 1:0
ვიზელა-ჟილ ვისენტე 0:1

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-სტანდარდი 2:0
სენ ჟილუა-სტ.ტრუიდენი 0:1
ბრიუგე-შარლერუა 2:0
ბეერსხოტი-კორტრაიკი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ჰარტბერგი-ადმირა 1:1
ლინცერი-კლაგენფურტი 2:2

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-მალათია 2:1
ანთალია-ქარაგუმრუქი 3:0
ქაშიმფაშა-ადანა 2:2
ტრაბზონი-ქონია 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-ვოლოსი 2:1
პანათინაიკოსი-ლამია 2:0
პაოკი-ატრომიტოსი 1:0
ოლიმპიაკოსი-აეკი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

იანგ ბოიზი-ბაზელი 3:1
ლუცერნი-სიონი 1:0
ციურიხი-ლუგანო 3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

კარვინა-იაბლონეცი 1:1
სიგმა-ბოლესლავი 2:1
სლოვაკეკო-სლავია 0:1
სპარტა-პლზენი 2:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლოცკი-პიასტი 0:2
პოგონი-ზაგლებიე 2:1
ლეგია-ვარტა 0:1

უნგრეთი. ა დივიზიონი

ჰონვედი-ფეჰერვარი 3:1
ზალაეგერსეგი-ფერენცვაროში .. 1:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 2. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 3. დიდგვაროვანთა ტიტული ეგვიპტესა და ოსმალეთში; 5. აეროპორტი პეკინში; 6. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 7. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 11. უძრავი ქონების შემოსავლებით მცხოვრები ადამიანი; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 14. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 15. ირანის პარლამენტი; 16. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. უბანი თბილისში; 19. ქურდი, ხულიგანი, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 20. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი.

თარაზულად: 1. არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესები ძველად; 4. გაუთავებელი, მომაბეზრებელი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 8. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების ადგილი; 9. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 10. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 12. უნგრეთის მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი სახელმწიფოში; 14. ეკვადორის დედაქალაქი; 15. მთავრობის წევრი; 16. საქართველოში მოღვაწე ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 22. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 23. ნიმუში, ტრაფარეტი, შტამპი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაზარმა; 2. შარლატანი; 3. ბარაკონი; 4. წერაქვი; 5. შოპენი; 9. სკეტჩი; 11. კარმენი; 12. კომბლე; 14. როკფორი; 18. აშუღი; 19. პეპსი.

თარაზულად: 4. წულაძე; 5. შორაპანი; 6. მალტა; 7. პრიკაზი; 8. გლაქსო; 10. ნაიკი; 13. მარინა; 15. ტოლედო; 16. ნომი; 17. ლიდა; 20. ფუჟერი 21. ბედეგი; 22. წაღვერი; 23. სუძუკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კომბლე; 2. რვალი; 3. ბობი; 5. თოხანი; 6. ხრამი; 7. ლივადია; 11. კლიჩკო; 13. არიფანა; 14. დვალი; 15. ბუშლატი; 16. პულმანი; 17. შატილი; 19. ალიბი; 20. კარე.

თარაზულად: 1. კურსები; 4. ქართუ; 8. ბრიზი; 9. ხადა; 10. ბალოკი; 12. თარხანი; 14. დაჩი; 15. ბაბლუანი; 16. პუარო; 18. ჰალვა; 21. ტოკაი; 22. ნეკრესი; 23. ბალზაკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9687

ევრო — 3.3594

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0149

100 რუსული რუბლი — 3.8722

ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისათვის

ხავი: „ძალიან ბევრ გოლს უშვებთ“

ბარსელონამ სტუმრად ესპანიოლთან ფრე 2:2 ითამაშა და გუნდი ბოლო წუთამდე აგებდა, როდესაც ლუკ დე იონგმა ანგარიში გაათანაბრა და ბარსელონა მარცხს გადაურჩა. მატჩის შემდეგ ხავიმ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ბარსელონა ძალიან ბევრ გოლს უშვებს და მთავარი პრობლემა ეს არის:

– მთელი მატჩის მანძილზე ვდომინირებდით, მაგრამ მეტოქემ ჩვენი შეცდომებით ისარგებლა და ჩვენი დომინირება შედეგზე არ აისახა. შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ.

მბაპე: „მესის ისევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში“

პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ არგენტინელს ისევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და გულშემატკივარს მისი იმედი უნდა ჰქონდეს. მბაპეს თქმით, მისთვის მესისთან ერთად თამაში დიდი პატივია:

– როდესაც მესის მოედანზე ვხედავ, ვიცი, რომ მან შეიძლება საოცრება მოახდინოს და ამისთვის ყველა მზად ვართ ხოლმე. მას ისევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და ამაში ყველა დარწმუნდება.



ანჩელოტი: „პსჟ-ს დამარცხება შეგვიძლია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ პსჟ-სთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია პარიზელების დამარცხება, თუმცა ამისთვის საჭიროა მაქსიმალური კონცენტრაცია და მინიმალური შეცდომების დაშვება:

– პსჟ ძალიან ძლიერი გუნდია და ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ რეალისთვის შეუძლებელი არაფერია და ამას მოედანზე დავამტკიცებთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პრინც ჰარის ყოფილი შეყვარებულის ეზოში ნარკოტიკებითა და ფულით სავსე ჩანთები იპოვეს

პრინც ჰარის ყოფილმა შეყვარებულმა განაცხადა, რომ ის დაკითხეს იმ ჩანთების გამო, რომლებიც მის სახლთან აღმოაჩინეს და რომლებშიც ნარკოტიკები და ფული იპოვეს.

32 წლის მოდელი და მსახიობი კრესიდა ბონასი, რომელიც პრინც ჰარის 2012-14 წლებში ხვდებოდა, ამტკიცებს, რომ მისთვის უცნობია, თუ როგორ მოხვდა ჩანთები მის ეზოში.

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი ციდან ჩამოცვივდა, – განაცხადა კრესიდამ, – მალე კარზე დაჟინებით მომიკაკუნა ორმა პოლიციელმა. გაოგნებული ვიყავი და შიგნით შემოვუშვი. ისინი აჩქარებული ნაბიჯებით გაემართნენ ჩანთების ასაღებად.

მოდელის თქმით, ჩანთებში აღმოჩნდა ფული, ნარკოტიკები და ძვირადღირებული ავტომობილების გასაღებები. როდესაც პოლიციის თანამშრომლები დაინტერესდნენ, ისინი მისი ნივთები ხომ არ იყო, მან უპასუხა: „რა თქმა უნდა, არა“. ისინი წავიდნენ, მაგრამ საღამოს დაბრუნდნენ და მსახიობი კიდევ ერთხელ დაკითხეს. ის ამტკიცებს, რომ ნარკოკურიერები რეგულარულად ხვდებიან კლიენტებს მის ქუჩაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 თებერვლისათვის

ვერძი – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მიხოს გოგოს ურიგებენ. კარგად შეთვალიერების შემდეგ ეკითხება:

– გოგო, შენ რა, ელამი ხარ?

– ხო, ჩოტათი!

– ლაპარაკიც გიჭირს?

– ხო, ჩოტათი!

– შენ მგონი ქალიშვილიც არ იქნები?

– ჰო, ეგ სამი ნაკლი მაქ მხოლოდ.

•••

მამა შვილს ეკითხება:

– აბა შვილო, დღეს რა გაიკეთე სკოლაში?

– დედა დავხატე.

– შე უპატრონო, რა ყოველდღე დედას ხატავ, მეტს არაფერს გაკეთებინებენ ის შობელ-ძაღლები?

– რა ვიცი, შემოვიდა კუკურა მასწავლებელი და დაიძახა: „აპა ბაღნებო! ყველამ ხატეთ ახლა, თქვენი დედა...

•••

საზაფხულო კაფეს ფანჯარასთან მამაკაცი მიდის და გამყიდველს ეუბნება:

– გოგონი, ერთი ბოთლი არაყი და ერთი ბოთლი კოკა-კოლა.

– აი, ინებეთ!

მამაკაცი იღებს და მიდის. 30 წუთის შემდეგ:

– გოგონი, ერთი ბოთლი არაყი და ერთი ბოთლი კოკა-კოლა.

– აი, ინებეთ!

მამაკაცი 30 წუთის შემდეგ ისევ იმეორებს:

– გოგონი, ერთი ბოთლი არაყი და ერთი ბოთლი კოკა-კოლა.

– აი, ინებეთ!

გადის ერთი საათი, მამაკაცი ისევ მივიდა და გოგონას ეუბნება:

– ერთი ბოთლი არაყი და ის... სპრაიტი, რაღაც კოკა-კოლა გულს მირევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მომდევნო ტურშია

ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა და მისი მეწყვილე ჯორდან ქონროი ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე ტურში გადავიდნენ.

ხუთი საკონკურსო ტური წყვილმა წარმატებით გაიარა და ჟიურისა და მაყურებლის სრული მხარდაჭერა და მოწონებაც დაიმსახურა.

სალომემ და ჯორდანმა ერთ-ერთ ბოლო საკონკურსო ტურში სტივ უანდერის ჰიტზე იცეკვეს და საკმაოდ მაღალი ქულებით მომდევნო ეტაპზეც გადავიდნენ.

„მისტერ ვალენტინი საქართველო 2022“ ელიზბარ მამედოვი გახდა

ბაბილო მიუზიქ ჰოლში სილამაზის კონკურსი „მისტერ ვალენტინ საქართველო 2022“ გაიმართა.

კონკურსის ჟიურიმ „მისტერ ვალენტინი საქართველო 2022“-ის ტიტული ელიზბარ მამედოვს მიანიჭა, „ვიცე მისტერ ვალენტინი საქართველო 2022“-ის ტიტული კი – აზიზ მუსალის.

დიანა ანფიმიადის ლექსების კრებული „გარდიანმა“ საუკეთესოდ დაასახელა

მსოფლიოს ერთ-ერთმა გავლენიანმა გამოცემა „გარდიანმა“ ქართველი პოეტის დიანა ანფიმიადის ლექსების კრებული საუკეთესოდ დაასახელა და რჩეულთა სიაში შეიყვანა.

„გარდიანისთვის“ დიანა ანფიმიადის პოეტური კრებული „რატომ აღარ ვწერ ლექსებს“ საუკეთესო აღმოჩნდა.

დიანა ანფიმიადი, პოეტი:

– წიგნში ბევრი ისეთი ლექსია, რომელიც ქართულად არსად გამოქვეყნებულა და, მიუხედავად იმისა, რომ წიგნს ჰქვია „რატომ აღარ ვწერ ლექსებს“, როგორც ჩანს, მიმართლებს და ვწერ, ჯერჯერობით.

„ჩაკრულოს“ შემსრულებელი როსტომ საგინაშვილი გარდაიცვალა



გენიალური ქართული ხალხური სიმღერის „ჩაკრულოს“ შემსრულებელი როსტომ საგინაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ფოლკლორის ცენტრმა გაავრცელა:

– როსტომ საგინაშვილის და ილია ზაქაიძის სახელები ფოლკლორულმა სამყარომ მაშინ გაიცნო, როცა მათ მიერ შესრულებული ჩაკრულო ალან ლომაქსმა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიასა და ჩიტების ჭიკჭიკთან ერთად, კოსმოსში გაგზავნა, როგორც ცივილიზაციის ბრწყინვალე ნიმუში.

როსტომ საგინაშვილი ქართლ-კახური სიმღერების უბადლო შემსრულებელი და განუმეორებელია იყო. მისი და ილია ზაქაიძის დუეტი დიდხანს ამშვენებდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, რომელსაც სათავეში დიდებული ანზორ კავსაძე ედგა. სწორედ ამ დიდმა ხელოვანმა აღმოაჩინა გურჯაანის გუნდში როსტომი და სახელმწიფო ანსამბლში წამოიყვანა, სწორედ ის და ილია ზაქაიძე ასრულებდნენ კოსმოსში გაგზავნილ „ჩაკრულოს“ ანზორ კავსაძისეულ ვარიანტს. ამიერიდან როსტომ საგინაშვილი, თავისი დიდებული ხმითა და ჩაკრულოთი, ზეციურ საქართველოს შეუერთდება.

აკაკი წერეთლის ვაჟის დაკარგულად მიჩნეული არქივი საქართველოშია

მწერლისა და პოეტის აკაკი წერეთლის ვაჟის – ალექსის დაკარგულად მიჩნეული არქივი საქართველოშია.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ერთი სასიხარულო ამბავი გვაქვს, აკაკი წერეთლის ვაჟის ალექსის არქივი, რომელიც დიდი ხანია დაკარგულად ითვლებოდა, ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცეს! ეს უნიკალური საგანძური ქართველმა ემიგრანტმა ელისო ტარასაშვილმა პარიზიდან ჩამოიტანა.

ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონი ელისოს დას, ჩვენი მუზეუმის დიდ მეგობარს ნინა ტარასაშვილს, საქართველოს დიდ მხარდამჭერსა და პატრიოტს.

ამ არქივში არაერთი უნიკალური დოკუმენტი და ფოტოა, მათ შორის დავასახელებდი აკაკის მეუღლის ნატალია ბაზილევსკაიას პასპორტს.

ალექსი ოპერამ ადრევე გაიტაცა და 1896-97 წლებში ხარკოვში ჩამოაყალიბა საოპერო დასი, რომელმაც გასტროლებით მოიარა რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქები და წარმატების მწვერვალს 1904-06 წლებში პეტერბურგში მიაღწია. წერეთელს ეკუთვნის რამდენიმე მომავალში ცნობილი საოპერო ტალანტის აღმოჩენა. წერეთელმა პეტერბურგში მოაწყო ქართული დიასპორის ყველაზე დიდი საღამო. მის დასში მღეროდა თედორე შალიაპინი. ალექსი წერეთელმა თავისი დასის მთელი რეკვიზიტები „მომავალი თავისუფალი საქართველოს თეატრს“ უანდერძა. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ანდერძი არაქმედითად ცნეს და წერეთლის ქონება აუქციონზე გაყიდეს. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე თავისი ძვირფასი არქივი ვერა ფაღავასათვის დაუტოვებია იმ იმედით, რომ ის დამოუკიდებელ საქართველოს მოესწრებოდა და არქივს სამშობლოში დააბრუნებდა.

ეს უკანასკნელი ანდერძი წელს აღსრულდა. აკაკის ვაჟის ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს, მის კანონიერ ადგილს, დაუბრუნდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული აღკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

თარაზულად: 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც გაიმართა პირველი ზამთრის ოლიმპიადა; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. მდინარე ციმბირში; 17. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 22. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 23. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა